რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 21 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ-მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს დილის 11 სახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 65 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 65

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები:

| | | |
|---|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი | |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი | |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. | |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".
ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებთ.

ღრმათ დამწუხრებული სოფიო ესტატეს ასული ბედიანიძისა, მარიამ სტეფანეს ასული, ოლღა და თამარ ესტატეს ასულნი ყორაღლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარ მეუღლის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი სიძის
ისააკ ზაალის ძის ბედიანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (ფომინის შესახვევი № 5). დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 22 მარტს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. წირვა და პანაშვიდი ანჩისხატის ტაძარში. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა კონსტანტინე გიორგის ძე ებრალიძე, დედა აგრაფინე ლევანტის ასული, ძმა ვლადიმერ, დები: ფუცუ, გოგონა და უმანკო ამით აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 მარტს, დილით ოთხშაბათს 12 საათზე ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაზე დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი
ნინა კონსტანტინეს ასულის ებრალიძის
სულის მოსახსენებლათ. (1—1)

დღეს, ოთხშაბათს 21 მარტს სახალხო თეთრ დარბაზში დანიშნულია თფილისის მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის
სხდომა.

ქართული თეატრის აღორძინება
ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ.—30 წლ.) გამოცხადდნენ ჩასაწერათ სრულიად ახალ დასის შესადგენათ.
ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გაჰმართავს წარმოდგენებს ჯერ თფილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოთ შეისწავლიან: დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს. ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება სიმღერას. თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.
დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპ. № 11.
ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოთ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდის.
კანტორა ღიაა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევს 4—6 საათამდე.
თფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.
(5—1) ქართული დრამ. საზ. გამგეობა.

დამზადებული ფეხსაცმელები და საჭირო ტყავი სახლის კომიტეტებს.
ქალაქის გამგეობასთან არსებული სასურსათო განყოფილება წინადადებას აძლევს რაიონულ კომიტეტებს და სახლის დიდ ორგანიზაციებს, რაც შეიძლება დაჩქარებით გამოარკვიონ თუ რამდენი დამზადებული ფეხსაცმელები და საძირე ტყავი არის მათთვის საჭირო და აცნობონ ამის შესახებ ტყავის ბიუროს (ბებუთოვის და რტიშჩევის ქუჩების კუთხე). ამასთანავე საჭიროა დაუყონებლივ წარადგინონ დასახელებულ ბიუროში განსაზღვრული თანხა ტყავის შესაძენათ.
(4—2) თფილისის ქალ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

მომხმარებელი საზოგადოება „აღორძინება"
რადგანაც 18 მარტს დანიშნული საზოგადოების
საერთო წლიური კრება
წევრთა საჭირო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა, ამიტომ ის მეორე ჯერ ინიშნება 25 მარტს დილის ათ საათზე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის ქუჩა № 91) და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწრას. დღის წესრიგი: 1) 1917 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 2) ახალი წესდებისა და საზოგადოების რეორგანიზაციის პროექტის განხილვა, 3) მოსამსახურეთა საკითხი, 4) 1918 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) მიმდინარე კითხვები, 6) გამგეობისა და სარ. კომისიის არჩევნები.
საზოგადოების წლიური მოკლე ანგარიში დაბეჭდილია.
ვისაც სურვილი აქვთ გაეცნოს ანგარიშს, კეთილ ინებოს და მობრძანდეს საზოგადოების კანტორაში (ვერის დაღმართი № 12) დილის 10—2 საათამდე.
)2—1) საზოგადოების გამგეობა.

## დიდი საფრთხის წინაშე

ამიერ-კავკასიის დემოკრატია დიდი საფრთხის წინაშე სდგას. გარეშე მტერი ჩვენს საზღვრებს უახლოვდება და სისხლით მოპოვებულ თავისუფლებას ფეხქვეშ გათელას უპირებს.

ოსმალეთის ფაშებისა და სატრაპების მოახლოვებამ თავისებური ზეგავლენა მოახდინა ამიერ-კავკასიის შინაურ ცხოვრებაზე და უკვე დაწყებული ანარქია საბედისწერო ხასიათს ღებულობს. სამოქალაქო ომი, ეროვნული შეხლა-შემოხლა ერთი მეორეზე გადიხლართა და ყველგან რევოლიუციონური წესი, რევოლიუციონური წყობილების განმტკიცება შეუძლებელი ხდება. სოფლებში და ქალაქებში არევ დარევა, მიმოსვლის შეჩერება, მშვიდობიან მცხოვრების აწიოკება, ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ გუბერნიების დასავლეთ გუბერნიებიდან მოწყვეტა და სხვა ამისთანები ისეთ ფართო ხასიათს ღებულობს, რომ იგი ჩვენ ქვეყანას წალეკას უპირებს.

ამ საერთო მოვლენებს ზედ დაერთო ქ. ბაქოში უკვე დაწყებული „მუსავატელებსა" და ბალშევიკებს შორის შეტაკება, რომელიც, ეჭვი არაა ნაციონალურ ხასიათს ღებულობს. უნდა ავღნიშნოთ, რომ ბალშევიკური მოძრაობა, როგორც თერგის ოლქში, ისე აქ—ამიერ-კავკასიაში ეროვნულ შეხლა შემოხლის ნიადაგზე ხარობს და საცა იგი ბრძოლათ იქცევა ყველგან ნაციონალურ ხოცვა-ჟლეტის ხასიათს მიიღებს. ბნელი ძალები, ეროვნული შოვინისტები ბალშევიკურ ნიღაბს იფარებენ და ნამდვილათ კი ზოოლოგიურ ნაციონალიზმს აწარმოებენ. განსაკუთრებით სახიფათოა ასეთი სამოქალაქო ომის დაწყება ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ გუბერნიებში, საცა უმთავრესათ ორი ერის ხალხი—სომეხ-თათრები სცხოვრობენ და ნაციონალისტების მეოხებით დიდი ხანია ერთი მეორეზე კბილებს ილესავენ. აქ—ვითომდა სამოქალაქო—ომი უმალვე ეროვნულ ხასიათს ღებულობს და ყველგან თათარ-სომეხთა შეტაკება იწყება. ბაქოში დაწყებული ომი მალე მთელს გუბერნიებს მოედება და ამიერ-კავკასიის უდიდესი ნაწილი ცეცხლის ალში გაეხვევა.

გარეშე მტერსაც სწორედ ეს სწადია: შინაურ ომით დასუსტებული და განადგურებული ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი ვეღარ მოახერხებენ საზღვრების გამაგრებას და მტერსაც გაუადვილდება ჩვენი დაპყრობა.

შინაური ანარქია და ეროვნული ხოცვა-ჟლეტა ამიერ-კავკასიის დემოკრატიას და მის თავისუფლებას უდიდეს მტრათ მოევლინა და ბოლოს იგი გაგვითხრის სამარეს. ისტორიას არ ახსოვს ასეთი მდგომარეობა. სულ ახლა დავიწყეთ სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ამიერ-კავკასიის დემოკრატიის წინაშე დიდი საკითხები დაისვა გადასაჭრელათ. ერთი მხრივ მან შინაური ანარქია და ეროვნული შუღლი უნდა მოაწესრიგოს და მეორე მხრივ საგარეო ომი აწარმოვოს. ეს მაშინ, როცა დემოკრატია პოლიტიკურათ და ეკონომიურათ არ არის გამაგრებული და მისგან დიდ შეკავშირებას და ორგანიზაციას მოითხოვს. მაგრამ ბნელ ძალებს თავისი გააქვთ: დემოკრატიის გაძლიერებას ხელს უშლიან და შინ და გარეთ ასუსტებენ.

აი ის საბედისწერო მომენტი, რომელშიაც ამიერ-კავკასიის დემოკრატია იმყოფება და რომლის აჩრდილი მას გარს დასტრიალებს. სწორედ ასეთ საბედისწერო დროში თვითეული ერის დემოკრატიას მეტი სიფრთხილე და კეთილგონიერება მართებს. თვითეული ერის დემოკრატიამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ერთი რომელიმე ერის დემოკრატიის, ანუ, სწორედ რომ ვსთქვათ, ხალხის დაღუპვა მეორე ერის დემოკრატიის და საერთოთ მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა დასამარებას ნიშნავს. ასეთ პირობებში ყველა ერთად დაემხობა და განადგურდება.

მაშასადამე დღევანდელ მდგომარეობიდან მთელი ხალხის გამოყვანა ამ.-კავკასიის დემოკრატიას შეუძლიან და მთელი მისი ძალაც აქეთ უნდა იქნას მიმართული. სამოქალაქო ომის გაჩაღება, რომელიც ბოლოს ეროვნულ სისხლის ღვრას იწვევს, სასტიკათ უნდა იქნას დაგმობილი და მთელი ჩვენი ძალა ყველა ერების დემოკრატიული ნაწილების შეკავშირებისაკენ უნდა იქნას მიმართული. ადგილობრივი დემოკრატიის შეკავშირება, მისი კლასობრივათ დარაზმვა ერთად ერთი საშუალებაა, რომელიც შინაური და გარეშე მტრის საფრთხიდან გვიხსნის და განადგურებას თავიდან აგვაცდენს. ამიერ-კავკასიის დემოკრატები ყველა ერებისა შეერთდით—აი ის სადღეისო ლოზუნგი, რომელიც ფიზიკურ განადგურებისაგან გვიხსნის.

## ეროვნული მთავრობა

ამიერ-კავკასიის ბედი ახლა წყდება აქ მცხოვრებმა ერებმა და განსაკუთრებით ამ ერების დემოკრატიამ, ახლა უნდა დაამტკიცონ თავის პოლიტიკური სიმწიფე და მომზადება.

რასაკვირველია დემოკრატია ყველა ერში თანასწორათ განვითარებული არაა. ეს ამიერ-კავკასიის უდიდესი უბედურებაა, მაგრამ მას ყავს განვითარებული ნაციონალისტები. და ეს მისი ერთი ორათ უარესი უბედურების ნიშანია.

დემოკრატიას უნდა საერთო მთავრობა. მისი ინტერესები მთლიანობისკენ მიისწრაფიან. ნაციონალისტებს კი უნდათ ცალცალკე მთავრობები. მათი ინტერესები გათიშვისკენ მიილტვიან.

ეროვნება და ეროვნული მთავრობა—აი მათი ხატი, მათი ღვთაება, ყოვლის შემძლე, ყოვლის განმკურნავი; ზავი გნებავთ—ეროვნული მთავრობა შექმენით და მოგეცემათ; რევოლიუციური წესიერების დაცვა გსურთ?—ეროვნული მთავრობა ამას თვალის დახამხამებაში განახორციელებს; იარაღი, სწავლა, მიწა—რაც გნებავთ—ეროვნული მთავრობის შექმნისთანავე საჭიროზე ათჯერ მეტი გაჩნდება; ერთი სიტყვით ეროვნული მთავრობა—ეს საყოველთაო მკურნავი ელიქსირია, ალქიმიკოსების ჯადოსნური ქვა, რომელიც სასწაულებს ახდენს.

ასე მღერიან სირინოზის ხმით ეს განათლებული და შეგნებული ნაციონალისტები. სამთავრობო დაწესებულებაც მზათა აქვთ: ეს არის ნაციონალური საბჭოები: ამათ შეუძლიათ იხსნან ქვეყანა ყოველგვარ განსაჭირისაგანო.

მართალია ეს?

ველიკოროსია, უკრაინა და სხვ. ერები რუსეთისა საუცხოვო მაგალითს გვაძლევენ იმისას, რომ ერთფეროვნება ვერ იხსნის მთავრობას რყევისა და უძლურებისაგან. ეროვნული ხასიათის მიცემა მთავრობისათვის—სრულიადაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი ყველასაგან ცნობილი და მისაღები იქნება.

ამ მოთხოვნას აქვს მხოლოდ ერთი პრინციპიალური საბუთი: სასურველია იყოს ერთი ერი—ერთი სახელმწიფო, ერთი მთავრობა.

ამ პრინციპს არავინ არ უარჰყოფს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველ პრინციპს აქვს თავის ადგილი და გარემოება. და ჩვენ უნდა კონკრეტიულ პირობებში განვიხილოთ ამ პრინციპის განხორციელების სარგებლობა თუ მავნებლობა ჩვენი ხალხისათვის.

დავაკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას.

ამიერ-კავკასია ისედაც მცირე ქვეყანაა, როგორც სივრცით, ისე მცხოვრებთა რიცხვით. ეკონომიურათ იგი ერთ მთლიან ოლქს წარმოადგენს, საჯაოთ სუსტს თავის განვითარებით. მისი გათიშვა და დანაწილება—თვითეულ ნაწილს ეკონომიურათ სრულიად უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებს, პოლიტიკურათ კი მეზობლების სათამაშო ტიკინათ აქცევს.

საზოგადოთ პატარა ერების ბედი დღევანდელ ისტორიულ ხანაში მეტათ აუტანელი და უნუგეშოა. გამწვავებულ ბრძოლაში, რომელსაც დიდი სახელმწიფოები აწარმოებენ ერთმანეთ შორის ბაზრების მოსაპოვებლათ—ეს ერები ადვილათ ხელ წამოსაკრავი ერთეულებია, რომელთა ბედს ერთი კალმის მოსმით სწყვეტენ მათ დაუკითხავათ. ასე გადასწყვიტეს ევროპის დიპლომატებმა ბედი ბალკანეთის სახელმწიფოების, ასე გადასჭრეს კავკასიის ერების ბედიც ბრესტ-ლიტოვსკის დახელოვნებულმა მოპაძრაკეებმა.

ასეთ პირობებში რაც უფრო დიდია სახელმწიფო ერთეული, მით უფრო ადვილია მისთვის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შერჩენა.

რაც უფრო დაქუცმაცებულია იგი, მით უფრო დაკარგულია იმედი მისი დამოუკიდებელ აღორძინების. გარეგნული დამოუკიდებლობა ასეთ სახელმწიფოებისა მხოლოდ ფიქციაა, თვალის ახვევაა, მოჩვენებითია. განა სერბეთს ქონდა მართლა დამოუკიდებლობა? ან ჩერნოგორიას ქონდა თავისი აზრი და ნება? განა ბალკანეთი საკუთარი ნებით ჩაება ომში?

არა ისინი აბურთავეს დიდმა სახელმწიფოებმა და დღესაც აბურთავებენ...

და აი ასეთი ბედი მოელის თანამედროვე მილიტარისტულ და იმპერიალისტურ ხანაში ყველა მცირე ერს, ყველა პატარა სახელმწიფოს. მას მეზობელი გამოხრავს და ჩაყლაპავს. ამიერ-კავკასიის ერებისთვის ამ მხრით მდგომარეობა განსაკუთრებით საბედისწეროა. მთლიანი ამიერ-კავკასია კიდევ წარმოადგენს რაიმე ძალას, რომელსაც შეუძლია უზრუნველ ყოს თავის არსებობა როგორც სამხრეთიდან ისე ჩრდილოეთიდან. მარა ამიერ-კავკასია სამ ტერიტორიათ დაყოფილი, სამ სუვერენულ სამფლობელოთ დაჭრილი,—ეს მხოლოდ იოლი გადასაყლაპავი ლუკმა იქნება მეზობელ დიდი სახელმწიფოებისთვის, ამ ჟამათ ოტომანის იმპერიისთვის. ოსმალეთის დიპლომატები ტრაპიზონში სწორედ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ასეთი გაყოფა მოახდინონ ამიერ-კავკასიის. ეს მათი პირდაპირი ინტერესია. მაშინ ისინი დიდი ენერგიის დაუხარჯველათ მოახერხებენ ოტომანის საზღვრების კავკასიონის ქედზე მიბჯენას და ჩვენ დამონებას.

და ამაში თათრის ფაშებს ხელს უწყობენ ჩვენი ნაციონალისტები, როცა თავის პოლიტიკურ მრწამსათ აღიარებენ ამიერ-კავკასიის ასეთ დაქუცმაცების საჭიროებას. ჩვენთვის, მარქსისტებისთვის ნაციონალისტთა ასეთი „დაბრმავება" გასაკვირველი არ არის. ეს „დაბრმავება"—განსაზღვრული კლასის თვალსაზრისით ძალიან კარგი „თვალხილულლი" დაცვაა გაბატონებულთა კლასობრივი ინტერესების. მაგრამ ერის, ხალხის ინტერესები აქ არაფერ შუაშია. იგი მხოლოდ ილახება, ითელება ამ „თვალხილულობით". განა ის, ვინც სომხეთს გადაყლაპავს, შემდეგ საქართველოს მოერიდება? ან პირიქით საქართველოს დამმონებელი სომხეთს თავისუფალს დასტოვებს? თავისთავად ცხადია არა. ამიტომ ათასჯერ მართალი იყო კაკი წერეთელი, როცა სეიმის ტრიბუნიდან განაცხადა: „ამიერ-კავკასიის ერები ან ერთათ გადარჩებიან, ან ერთად დაიღუპებიანო".

დღევანდელ მდგომარეობაში ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა. ამ ერების ბედი ისეა გადაჯაჭვული, რომ უნდათ თუ არა, ისინი ერთ ტაფაში დაიწვიან, უნდათ თუ არა—ერთ ბედის ქვეშ დარჩებიან. მე ვგულისხმობ ერის უმრავლესობას, გლეხკაცობას და მუშებს, რომელთაც ამ ჟამათ დიდი საფრთხე მოელის ოსმალეთისაგან. არც ერთმორწმუნეობა, არც ყოფილი სიმპატია-ანტიპატია არ იხსნის მასსას ამ საერთო ხვედრისაგან.

საერთაშორისო ურთიერთობაში გრძნობას ადგილი არ აქვს. იქ მხოლოდ ანგარიში მეფობს. უფრო კლასობრივი ანგარიშია. ოსმალეთის ფაშების ანგარიში კი ერთნაირათ მოითხოვს ვალის განაღდებას თათრის, სომხის და ქართველი გლეხისა და მუშისაგან... იგი ყველას ერთ უღელს დაადგამს, მიწებს ჩამოართმევს, თავისუფლებას მოუსპობს. მოიგებენ ამ ფაშების შემოსვლით მხოლოდ მათი მონათესავე ჯგუფები ყველა ერში. ამიტომაა, რომ მათი ენა ყველა ერში ერთნაირათ მეტყველებს. ამიტომაა, რომ რაუფ ბეი ტრაპიზონში და ჩვენი ნაციონალისტები თფილისში ასე ხმა შეწყობილი მღერიან ერთსა და იმავე ჰანგზე.

საქართველოს გამოყოფა—სომხეთის არ ცნობა—აი ლეიტ-მოტივი ამ სიმღერის იქაც და აქაც. მაგრამ განა კიდეც რომ შეიძლებოდეს ამ ოცნების განხორციელება, გაძლიერებულმა ოსმალეთმა, რომ კიდეც დასტოვოს გამოყოფილი საქართველო დროებით, განა იგი არ ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც ამ ასი წლის წინეთ იყო?

„ხან ლეკები ეცემოდენ, ხან ოსები დაარბევდენ"; ხან კიდევ თათრები, ან ყიზილბაშები გაანადგურებენ ჩვენს ქვეყანას. უკვე დღესაც, როცა საერთო მთავრობა ჯერ კიდევ არ გამაგრებულა, ასეთი თავდასხმები სხვადასხვა მხრიდან ხშირი მოვლენა შეიქნა. და საქართველოს გამოყოფის შემდეგ ხომ იგი ჩვეულებრივ, მუდმივ მოვლენათ იქცევა!

და განა ეს შეადგენს ქართველი დემოკრატიის ინტერესებს? განა ამ მუდმივი თავდასხმისაგან თავის უზრუნველსაყოფათ არ შეაფარა მან თავი დიდ რუსეთს? განა ამისათვის არ იზიარებდა ჩვენი ხალხი ჩრდილოეთის ორიენტაციას?

დღეს რომ ეს თავდასხმები განმეორდეს, იგი ხომ ისევ იქით გაიწევს და ამით ამიერ-კავკასიის და თავის დამოუკიდებლობასაც მისცემს იმას, ვინც მყუდრო, მშვიდობიან ცხოვრების საშუალებას მოუპოვებს!

მაშ რათ უნდა მივაჩეჩოთ ამ ხალხს ხელში ის, რაც მას დღეს თავდასაცველ იარაღათ არ გამოადგება და მხოლოდ ბედს დააწყევლინებს?

ჩვენ რასაკვირველია ამით არ გვინდა ჩვენი ხალხის პიროვნება გავქელოთ და იგი სხვა ხალხებში ავთქვიფოთ. მაგრამ ამისთვის ხომ დამოუკიდებლობის გარეშეც მრავალი საშვალება არსებობს.

ამიერ-კავკასიის ერებს შეუძლიათ ერთი მთავრობის ქვეშ იყონ თანასწორნი და სრულ უფლებიანი. მათ შეუძლიათ სავსებით დააკმაყოფილონ თავიანთ ეროვნულ-დემოკრატიული მოთხოვნილებანი, იმ პროგრამის განხორციელებით, რომელიც გასული წლის 19 ნოემბერს ერთხმათ იქნა აღიარებული საქართველოსთვის ეროვნულ ყრილობაზე. მაგრამ ამისთვის საჭირო არ არის არც რევოლიუციისთვის ღალატის ჩაცემა, არც სეიმის გარეკა, არც ეროვნულ მთავრობების შექმნა და ამიერ-კავკასიის საერთაშორისო ომების ასპარეზათ გადაქცევა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ დემოკრატიის სოლიდარობის პრინციპზე დგომა და ხალხის ინტერესების პირველ რიგზე დაყენება. და ჩვენც სწორეთ ამ პრინციპს ვაღიარებთ და ამ გზით ამიტომ მივდივართ.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში წერილში „კომუნისტების პარტია" სწერია: „ეს დაღი ბალშევიკების და ანარქისტების სასაცილო იქნებოდა", უნდა იყოს: „დოღი" და სხვ. ქვევით იმავე წერილშია: „ავანტიურისტ მედაღეებს გარიყულს დასტოვებს", უნდა იყოს: „ავანტიურისტ მედოღეებს" და სხ.

იმავე №-ში, პრესის ბოლოში სწერია: „აჭარაც კი ამ დღისთვის იბრძვის დღეს რუსთა მხარეზე"... უნდა იყოს: „აჭარაც კი ამ იდეისთვის იბრძვის დღეს თურქთა მხარეზე"...

## პრესა

ამიერ-კავკასიაში, როგორც მკითხველს მოეხსენება, ჯერ კიდევ არ განსვენებულა რევოლიუცია, არ გამქრალა წმინდა ალი თავისუფლების, არ გამხდარა ქესლებით საჯდენი მისი ტახტი. და ამ რევოლიუციურ მონაპოვართა დაცვა, ამიერ კავკასიის დემოკრატიისაგან დავალებული აქვს ამიერ კავკასიის სეიმს, ხალხისგან არჩეულს და მისგან შედგენილ მთავრობას.

მაგრამ თქვენ გგონიათ, რომ იგი მართლა იცავს რევოლიუციას? თუ ასეა თქვენ ალბათ არ კითხულობთ „სახალხო საქმეს" და განსაკუთრებით ამ გაზეთის იმ წერილებს, რომელნიც ყველაზე გრძელია, და რომელნიც ისტერიული კილოთი არიან დაწერილი. ერთ ასეთ წერილში № 198, აი ასეთი შემმუსვრელი ბრალდებებია მოყვანილი ამიერ კავკასიის მთავრობის წინაარმდეგ, რომელიც მენშევიკებს, დაშნაკელ-მუსავატის წევრებს შეიცავს:

„სად არის ამიერ-კავკასიის რევოლიუცია დაცული? მენშევიკ დაშნაკელთა და მუსსავათელმა ბლოკმა გვიპასუხოს აშკარად და მკაფიოდ: არზრუმის მოქალაქენი სტკბებიან თუ არა დღეს რევოლიუციის მადლით, გვითხრას მენშევიკ მუსავათის და დაშნაკელების ბლოკმა არის თუ არა რევოლიუცია განმტკიცებული ოლთისში, არტაანში, ტრაპიზონში, შავშეთ-იმერხევში, აჭარაში?.. წვითა და დაგვით აღებულ ადგილებში ჩვენ დავკარგეთ რევოლიუცია" (იხ. „სახ. საქ." № 198).

ერთი უნდა ვკითხოთ ამის დამწერსაც,

სრულს ჭკუაზე იყო თუ არა, როცა ამას წერდა და ბეჭდავდა?

ისტორიაში ჩვენ ვიცით, ერთი მაგალითი, როცა ტრაპიზონში, ინდოეთში, ჩინეთში, გოტენტოტებში და ყველგან, სადაც კი ველური ხალხები ცხოვრობენ ერთბაშად აპ რებდენ სოციალისტური რევოლიუციის დატრიალებას. ეს უმაგალითო მაგალითი მოგვცა რუსეთის ისტერიულმა ბალშევიკებმა. მათ გამოსცეს დეკრეტი ტრაპიზონში, არზრუმში, ბორნეოს კუნძულზე და ვინ იცის კიდევ სად, დაუყონებლივ რევოლიუციის მოხდენის შესახებ. მაგრამ რა შუაშია აქ მენშევიკები ან სეიმის სხვა ფრაქციებ? მკითხველიც დამეთანხმება, რომ ამათ აქ ბრალი არ მიუძღვის. არც ოლთის და აჭარის მხარეში დაგვპირებია ვინმე დიდი რევოლიუციის მოხდენას. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, მკითხველო, რომ ზემო აღნიშნული ამონაწერი ეკუთვნის თედო ღლონტის კალამს, და მას კი, დამეთანხმებით, მეტი არ მოეთხოვება...

ზემოთ ჩვენ კითხვას ვსვამდით, სრულს ჭკუაზე იყო ამ ამონაწერის დამწერი, თუ არა მეთქი? ავტორის ვინაობის გაგების შემდეგ, მკითხველი დამეთანხმება იმაშიაც, რომ იგი სრულ თავის ჭკუაზე იქნებოდა, მაგრამ მას, ვიმეორებთ, მეტი მაინც არ მოეთხოვება.

* * *

სეიმის მოწოდება, რომელსაც მიზნათ აქვს სოფელს თავიდან ააცდინოს ანარქიის შავი დღეები „საქართველოს" ისე გაუგია, როგორც არევ დარევისკენ და ანარქიისაკენ მოწოდება. მოწოდებაში პირდაპირ წერია, ანარქია და გარეშე საფრთხე დაღუპავს მიწის რეფორმას, მაგრამ ეს „საქართველოს" სულის ჩამდგმელებს არ აკმაყოფილებს.

რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ მოწოდება აღიარებს: მემამულეები შეეცდებიან მიწის რეფორმა გააბათილონ, გლეხებს მიწა არ გადასცენო. მერე განა ეს ტყუილია? განა თავის ნებით და ენა-შეუბრუნებლათ დასთმობენ მიწებს მემამულეები? ცხადია არა.

ცხადია ისიც, რომ აქედან შეიძლება ხოცვა-ჟლეტა ატყდეს. და სეიმის მოწოდებაც სწორეთ იქითკენ არის მიმართული, რომ გლეხებს დაანახოს ან ხოცვა ჟლეტის მავნებლობა თვით გლეხებისთვის. ანარქის, მკვლელობის, ხოცვა-ჟლეტის დამწყებნი და მქადაგებელნი ამ მოწოდებაში ხალხის მტრებათ არის დასახული. მაშ რაღათ არის გაჯავრებული „საქართველო". ერთად ერთი საბუთით. მემამულეების უნგარობაში რათ შედის ეჭვი სეიმსო. მარა მარტო სეიმს შედის ამაში ეჭვი?

მემამულეების გამოქომაგების სურვილი ალაპარაკებს მხოლოდ „საქართველოს".

## კავკასიის ფრონტი

ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი შემდეგს იტყობინება: „ბათუმში ყოველ საათობით ძლიერდება რწმენა, რომ მტერს შესაფერ წინააღმდეგობას გაუწევენ. დღეს მე, კამენდატი და გენ. გაბაშვილი მივდივართ ჩაქვის თავის პოზიციებზე. ჩვენს ჯარში სულიერი განწყობილება დიდებულია. ველაპარაკე ადგილობრივ მცხოვრებთ. მათ მე კარგათ მიმიღეს და გადაჭრით განაცხადეს, რომ ჩვენის მხრით ქართველების ღალატზე ლაპარაკიც არ შეიძლებაო. ამ წუთში ჩაქვის თავის რაზმის უფროს გენ. კარალოვისაგან მივიღეთ ცნობა: მოწინააღმდეგე უკუ ვაქციეთ და პოზიციები ჩვენ ჩავიგდეთ ხელშიო. ყოველ დღე გვემატება დიდძალი ჯარი. მაგ., დღეს ჩამოვიდა გურულების რაზმი ათასზე მეტი კაცი.

18 მარტი.

(ოფიციალური მოხსენება)

შავი ზღვის პირის რაიონში ჩვენს მზვერავებს სულთან სელიმის გზაზე მტერთან სროლა ჰქონდა.

აჭარის წყალის რაზმმა, რომელმაც კიბეის პოზიციებისკენ დაიხია 17 მარტს, 18 მარტს სროლის შემდეგ კვლავ დაიკავა ძველი პოზიცია. ჩაქვის რაზმმა დაიკავა სოფ. ხალა და მის გარშემო მდებარე მაღლობი ადგილები.

სხვა ადგილებიდან ცნობები არ მოსულა.

19 მარტი.

შავი ზღვის პირად ნელი სროლაა აჭარის წყალთან.

„ჩეტნიკები" გამოჩნდენ ტილიარის მაღლობზე. ეს ადგილი ბათუმიდან 15 ვერსითაა დაშორებული აღმოსავლეთით.

სარაყამიშის მიმართულებით ყარაურგანის სამხრეთით ჩვენი მზვერავები წარმატებით მოქმედებდენ; მეჯინგერტის რაიონში პატარა შეტაკება იყო. ოსმალებმა შემოუტიეს კოზაკილისზე ეს ადგილი ჩრდილოეთ დასავლეთითაა კარაკურტიდან 8 ვერსის მანძილზე.

ჩვენი მზვერავები მივიდენ სოფ. ლაპუსტან და ჰაგირამდე. ეს სოფლები სარიყამიშის ჩრდილოეთით მდებარეობენ 30—40—25 ვერსის მანძილზე.

„ჩეტნიკების" ბრბო, სარიყამიშის ჩრდილო აღმოსავლეთით, კარაკილისის რაიონში ჩვენმა რაზმმა გარეკა.

———

(კერძო ცნობა)

ამ დღეებში ჩაქვის მიდამოებში ოსმალთა ჩეტნიკები მრავლათ გაჩნდენ. ჩვენი რაზმის უფროსმა მათ მოსთხოვა დაეტოვებიათ ეს ადგილები. ამაზე „ჩეტნიკებმა" უარით უპასუხეს. მოხდა შეტაკება. ჩვენმა რაზმმა სრულიად განდევნა „ჩეტნიკები" ჩაქვის ხეობიდან და წინაც წაიწია.

———

**ჩაქვში და ქობულეთში** ამ დღეებში ჯავშნიანი მატარებლის თანადასწრებით მოხდა აქაური ქართველი მაჰმადიანების კრება. დაადგინეს: დავიცვათ ნეიტრალიტეტი და უკეთუ აჭარლები შემოგვიტევენ, გავუწიოთ წინააღმდეგობაო.

## ამიერ-კავკასიის ამბები

**შემახა.** ეს მესამე დღეა გააფთრებული ბრძოლაა. ბალშევიკებსა და თათრებს შორის მსხვერპლი დიდია. მიმოსვლა აღკვეთილია. ბაქოდან გაიგზავნა ბალშევიკური ჯარების ნაწილები. („რ.").

**ბაქოდან** პირდაპირი მავთულით თფილისში შემდეგს იტყობინებიან: ბაქოსა და ბალაჯარის შუა სწარმოებს ბრძოლა ბალშევიკებსა და მუსულმანებს შორის. გუშინ სად. კიმლისა და ბაქოს შუა დაიმსხვრა მატარებელი № 4. საჭიროა გამოიგზავნოს ჯავშნიანი მატარებელი.

კავკასიის ქალაქთა კავშირის წევრები შარური—დარალაგეზის მაზრიდან დეპეშით შემდეგს იტყობინებიან: „გაჩერებული ვართ ბაშნორაშენში, თათრები არ გვიშვებენ, მოითხოვენ იარაღის და ქონების ჩაბარებას. საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება. გამოგზავნეთ ჯავშნიანი მატარებელი, ვაგონები და ფულები".

———

**სად. თაუზიდან** ჯავშნიან მატარებლის უფროსი ვ. გოგუაძე დეპეშით იტყობინება:

„აქსტაფამდე მშვიდობიანათ მივედით. აქსტაფა-ტალლუს შუა სოფელ გოგჰალის ახლოს დილის 5 საათზე ყაჩაღთა ბრბომ სროლა აგვიტეხა. ჩვენ რამდენჯერმე ვესროლეთ ზარბაზნით და ტყვიის მფრქვეველებით. მოგვიკლეს პეტრე ჩხაიძე, მსუბუქათ დაგვიჭრეს გოგიტაშვილი. ყაჩაღებმა ისარგებლეს სიბნელით და მიიმალენ. ჩვენ დავბრუნდით აქსტაფაში. აქ ცხენოსანმა ყაჩაღებმა სროლა დაგვიწყეს, ჩვენ ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით გავეცით პასუხი. ჩვენ განვაგრძეთ გზა განჯისკენ და ისევ ყაჩაღებს შევეტაკეთ. ჩვენმა რაზმმა იერიში მიიტანა ყაჩაღებზე და ზოგიერთებს იარაღი აჰყარა. გავიარეთ რამდენიმე მანძილი და შევამჩნიეთ რამდენიმე ასეული ცხენოსანი, ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები დავუშინეთ და გავფანტეთ. მთელ გზაზე ყოველ მხრიდან თავს გვესხმოდენ და გვესროდენ. ჩვენ პასუხს არ ვაძლევდით, რადგან ახლო სოფლების მცხოვრებნი დავზოგეთ. დავიჭირეთ ხუთი ყაჩაღი. თაუზამდე წესრიგი დავამყარეთ და წინსვლას განვაგრძობთ. აუცილებლათ საჭიროა დამხმარე ჯავშნიანი მატარებელი.

———

კოვლიარიდან თავდაცვის უფროსი ალიევი იტყობინება განჯის და სადგურ ტაუზის მცხოვრებნი ითხოვენ ჯავშნიან მატარებელს რკინის გზის ლიანდაგის დასაცავათ. თუ მიიღებთ ზომებს ჩვენ დაგისახელებთ იმ ავაზაკებს, ვინც ლტოლვილნი დაარბიესო. გთხოვთ საჩქარო დახმარებას. უკიდურეს შემთხვევაში არავითარ პასუხისგებას არ ვკისრულობთ.

## ჩრდილო კავკასიის ამბები

პეტროვსკიდან ბაქოს საგუბერნიო სასურსათო გამგეობის რწმუნებული ანთაძე 14 მარტის თარიღით იტყობინება: მთელი ღამე და დღეს დილიდან ძლიერი სროლაა დაღესტნელებთან. ბრძოლაში მონაწილეობას იღებს შეიარაღებული გემი, რომელიც ყუმბარებს უშენს ქალაქს ზღვიდან. ქალაქში ზოგიერთ ალაგას ცეცხლია გაჩენილი. ამბობენ, რომ რკინის გზის ლიანდაგი აყრილიაო".

———

სასურსათო ორგანიზაციები მეტად შეშინებულნი არიან უკანასკნელი ამბების გამო. გამოირკვა, რომ პეტროვსკ-ბაქოს შუა გზაში არავითარი სურსათი არ მოიპოვება ბაქოში გაეზავნილი. პეტროვსკს იქით კი არის რამდენიმე მატარებელი, სურსათით დატვირთული ბაქოსთვის, მაგრამ პეტროვსკზე ამ მატარებლების გატარება ყოვლად შეუძლებელია. პური და სხვა სურსათი ადგილობრივ მაღაზიებში სულ ცოტაა; უკეთუ ზომები არ იქნა მიღებული დროზე, სასურსათო ორგანიზაციები ვერაფერს ვერ გახდებიან.

———

კავკავის რკინის გზაზე სად. ტარკის ახლოს ჩეჩნებმა დასწვეს რკინის გზის ხიდი.

———

11 მარტს, საღამოს 5 საათზე პეტროვსკში შევიდა დაღესტანელების რაზმი. 20 წამის შემდეგ ამ რაზმის ქალაქში შესვლისა ზოგიერთ ალაგას დაიწყო სროლა, რამაც გააბრაზა რაზმი და სროლითვე გასცა პასუხი. არიან მოკლულნი. მთელი ღამე სროლა არ შეწყვეტილა. ისროდენ თოფებიდან და ზარბაზნებიდან. ღამით დაიწყო ძარცვა—ყველა მაღაზიები გაძარცულია. ბაზარი იწვის. ქუჩაში სამარისებური სიჩუმეა. გამოსვლა არ შეიძლება. 12 მარტს შესდგა ქალაქის გამგეობის სხდომა. დაღესტანელებმა სიტყვა დასდეს თითონ დაიცავენ წეს-რიგს. ისინი ირწმუნებიან, რომ წესიერების დასამყარებლათ მოვიდენ. უსტიევის რაზმი ზღვაშია გემზე. დაღესტანელებმა ქალაქში თავის მილიცია დააწესეს. მცხოვრებთ მოწოდებით მიმართეს, რომ მშვიდათ განაგრძონ თავიანთი საქმეები. რკინის გზის მოსამსახურენი პეტროვსკის სადგურიდან პირველად გაიქცენ, მაგრამ შემდეგ დაბრუნდენ.

კავკავის რკინის გზაზე ხასავ-იურტამდე სიწყნარეა. გროზნი სრულიად მოწყვეტილია და გუდერმესთან მას კავშირი არ აქვს.

———

3 მარტს გროზნის სამშვიდობო დელეგაცია, სამხედრო სარევოლიუციო საბჭოთა წარმომადგენელნი, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრნი, შჩებელინოვკის და ყაზახთა დელეგატები გაემგზავრენ დანიშნულ ალაგას დაღესტნის დელეგატების შესახვედრათ. დაღესტნელების დელეგატებში არ იყო შეიხ-უზუნ-ხაჯი, რის გამოც მოლაპარაკებას წინასწარი თათბირის ხასიათი მიეცა. დელეგატები მიესალმენ დაღესტნელების წარმომადგენელთ და განაცხადეს, რომ მათი მიზანია მეზობლურ კეთილ განწყობილების და მშვიდობიანობის დამყარება. დაღესტნელებმა განაცხადეს, რომ ჩეჩნები გთხოვენ მიიღოთ ყოველივე ზომები გროზნის „პრომისლების" ცეცხლის ჩასაქრობათო. პირობას ვდებთ უზრუნველვყოთ ყველა მუშა და ტეხნიკი, ვინც ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობას მიიღებსო. დელეგატები შეთანხმდენ შემდეგში: ტეკნიკები ხელმძღვანელობას გაუწევენ ჩეჩენ მუშებს, რომელთაც ცეცხლის ჩასაქრობათ გამოიყვანენ. დაღესტანელებმა განაცხადეს, რომ მართალია—ჩვენ აუარებელი შეიარაღებული რაზმები გვყავს არა მარტო ჩეჩნების დასაცავათ, არამედ—კეთილ მეზობლურ განწყობილების დასამყარებლათო, ჩვენი რაზმი ყველა იმის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ვინც ხელს შეუშლის მშვიდობიან ცხოვრებასო. სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს წარმომადგენლის კარმაგიანის შეკითხვაზე—თუ სად იმყოფება მუტუშევი, დაღესტნელებმა განაცხადეს, რომ მათ არ იციან სად იმყოფება მუტუშევი, მაგრამ როდესაც კი გაიგებენ მის ბინას, მაშინვე მიიღებენ ყოველივე ზომებს, რათა შეპყრობილი იქნას ხალხის გამყიდველი და მოღალატეო.

დასასრულ დაღესტნელებმა განაცხადეს, რომ ისინი ყოველივე კითხვაში დაემორჩილებიან პიატიგორსკის საოლქო ყრილობას, როგორც სახალხო მთავრობას, სადაც ჩვენებმა ამოირჩიეს 80 თავიანთი წარმომადგენელნიო.

## ახალი ამბები

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექციის თავმჯდომარე სთხოვს ყველა საზოგადო დაწესებულებათ, და კერძოთ კოოპერატივებს, რომელთაც რაიმე თანხა გადასდეს ეროვნული საბჭოს ფონდის გასაძლიერებლათ, დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ფული ამიერ-კავკასიის ბანკში (თფილისში) საბჭოს სახელდახელო ანგარიშზე ჩასარიცხავათ.

◆ **თავდაცვის შტაბის განკარგულებით** ჯარისკაცი 1 კავკასიის რკინის გზის პოლკისა ნიკოლოზ პუშკარსი და მოქალ. პავლე დინუკოვი ქუჩაში სროლისათვის დაატუსაღეს და გადასცეს საგამომძიებლო კომისიას. ამავე დანაშაულობისათვის ერთი თვით ციხე მიუსაჯეს ჯარისკაც ალექსანდრე მიროშენკოს. ამავე შტაბის განკარგულებით ჯარისკაცები მე-6 სამთო ბატარეისა ჩიხრიძე, გორბანენკო და სიჩენკო დაატუსაღეს. მათ აღმოაჩნდათ მოპარული ტყვები.

◆ **პურის საკითხი.** 18 მარტს ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიმართა პირველ ოთხ სამილიციო უბნის სახლის კომიტეტების წარმომადგენელთა კრება იმ საკითხის გამოსარკვევათ თუ რა საშუალებისთვის მიემართათ, რომ ქალაქს საშუალება ჰქონოდა ფქვილი ეყიდა და იმ ფასებში გაეყიდა პური, რომ ზარალი არ ენახა. კრება თუმცა ოთხ საათს გაგრძელდა, მაგრამ ერთ გადაჭრილ აზრს ვერ დაადგინეს. გადასწყვიტეს ხელახლა გამართონ კრება.

◆ **სახლის წიგნში ჩაწერილი ძაღლები.** სახლის პატრონს თამარა ივანეს ასულს თავართქილაძისას, რომელიც ცხოვრობს ქეთევანის ქუჩაზე № 19, ოქმი შეუდგინეს, რადგან მას სახლის წიგნში სამი ძაღლი ჩაეწერა „ვენერა, ჯეკი და ჯუკუნა", როგორც თავისი შვილები. თავართქილაძისას უნდოდა ძაღლების სახელით სასურსათო ბარათები მიეღო.

◆ **თავდაცვის შტაბი** სთხოვს ყველა დაწესებულებებს, უწყებებს და ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის ნაწილებს სამი დღის განმავლობაში აცნობონ შტაბს თავიანთი ბინა.

◆ **შრომის სამინისტროს ბრძანებით** ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი და აგრეთვე კერძო დაწესებულებათა პატრონი ვალდებულნი არიან ყოველივე კონფლიქტი მათ და მუშათა შორის გადასცენ გასარჩევათ ცენტრალურ მომრიგებელ კამერას.

◆ **ვარლამ ჰანტურიშვილი.** საგანგებო რაზმი თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობთ, რომ მძიმე ჭრილობის მიღების შემდეგ 19 მარტს, გარდაიცვალა საუკეთესო ამხანაგი ვარლამ ხარლამის ძე ჰანტურიშვილი, რომლის წასვენება თფილისიდან ს. აცანაში (გურია) მოხდება 21 მარტს.

◆ **ღვინის ვაჭრობ.** გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა აიკრძალოს ღვინის შემოტანა თფილისში გუბერნიის სასურსათო კომიტეტის უნებართვოთ. ყოველივე ბოჭკაზე მეღვინეებს გადაახდევინებენ 3 მანეთს. ვისაც სურს თფილისში ღვინო შემოიტანოს, უნდა აიღოს კომიტეტიდან საჭირო ნებართვა. უნებართვოთ რკინის გზებზე ღვინოს არ მიიღებენ.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს** კანცელიარია მოთავსებულია პეტრე დიდის ქუჩაზე, № 8. მთხოვნელებს მიიღებენ დილის 10—12 საათამდე.

◆ **ქუთაისის ქალაქის თავი** სთხოვს ქალაქთა კავშირს აღძრას მან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მან ერთი მილიონი მანეთი სესხი მისცეს ქუთაისს სურსათის შესაძენათ. ქალაქთა კავშირის თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ უკვე აღძრა შუამდგომლობა მთავრობასთან ამის შესახებ.

◆ **რკინის გზის უფროსი** იტყობინება: რადგანაც აღმოსავლეთის რკინის გზის ლიანდაგზე არეულობაა,—მატარებელი № 4 თბილისიდან ბაქომდე დროებით აღარ ივლისო.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი** ამ მოკლე ხანში გახსნის თავის განყოფილებას ავლაბარში და ნაძალადევში. ამის გამო ფულით დახმარებას სთხოვს ქალაქის თვითმართველობას.

◆ **თფილისის ქალაქის გამგეობის** წევრი ბესილიძე სთხოვს ქალაქთა კავშირს ტრამვაის რემონტისათვის მისცეს 10,000 მეტრი რელსები და სხვა საჭირო მასალები.

◆ **რუსთა ეროვნულმა** ყრილობამ სამხედრო საკითხის შესახებ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც საჭიროთ სცნობს შესდგეს ერთი ძლიერი ინტერნაციონალური ჯარი.

◆ **ამიერ-კავკასიის სეიმის** იურიდიულმა თათბირმა სეიმს წარუდგინა კანონპროექტი ამიერ-კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** ჯანმთელობის განყოფილება ახლო მომავალში აწყობს მოწყალე დების კურსებს. იკითხება შემდეგი საგნები: ანატომია, ფიზიოლოგია, ქირურგია და დესმურგია, გიგიენა, სნეულთა მოვლა, ფარმაკოლოგია და რეცეპტურა, მასსაჟი. ლექტორებათ მოწვეულნი არიან ექიმები: ნ. მელიქიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. წინამძღვრიშვილი, გ. მუხაძე, ი. თიკანაძე, დ. ახვლედიანი, ალ. დიასამიძე, მ. მგალობლიშვილი, შ. მიქელაძე, ლექციები იკითხება თბილისის კერძო სამკურნალოში ქსნისას ქ. № 7 პრაქტიკული ვარჯიშობა კი იქვე და ქალაქთა კავშირის № 1 ლაზარეთში.

◆ **ქართულ კორპუსთან** შემდგარ განსაკუთრებულ ცხენოსან რაზმის მხედრებს აუწყებენ, რომ მეცადინეობა რაზმში უკვე დაიწყო და ყველა ვინც რაზმში ჩაეწერნენ და კერძო ბინაზე ცხოვრობენ, ვალდებულნი არიან რაზმში გამოცხადდენ ამ თვის 20 რიცხვამდე (მიხეილ პროსპექტი, ყოფილი სამხედრო სასწავლებლის შენობა). წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ვინც არ გამოცხადდება დანიშნულ დროზე, ჩაითვლებიან „დეზერტირებათ" და გადაეცემათ სამხედრო სასამართლოს.

◆ **მიხეილ კავსაძის გუნდმა** ორ კვირაზე მეტია განაახლა თავის მუშაობა მოქმედება. მსურველთ და გუნდის წევრთ შეუძლიანთ გამოცხადდენ ძველ ბინაზე (ჩუღურეთში ნიკოლოზის ეკლესიის სკოლაში) სამშაბათობით და პარასკეობით საღ. 6 სს. გამოცდილნი მომღერალ-მგალობელნი მიიღებიან ჯამაგირით. განზრახულია მოკლე ხანში სასულიერო-საერო კონცერტების გამართვა, როგორც თფილისში ისე პროვინციაში.

◆ **დაიბეჭდა და გამოვიდა** გასასყიდად ს. იაშვილის მე-2 ე გამოცემა „გეოგრაფია" ფასი 3 მ.—20 კ. გამოცემა ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისა.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს უკანასკნელათ იგზავნება გაზეთები: გორში, ზუგდიდში, სამტრედიაში, თელავში და ხონში. აგენტებს ვსთხოვთ ფული ფოსტით არ გამოაგზავნონ, არამედ კაცის ხელით.

◆ **გაზეთების დაგვიანება.** გუშინ ჩვენი გაზეთი პროვინციაში არსად არ გაგზავნილა. მიზეზი იყო ელექტრონის ძალის უქონლობა.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 5 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია მუშათა საბჭოს კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია გლეხთა ცენტრის სხდომა.

## თავდაცვა გარეშე მტრისაგან.

### დაეხმარეთ კავკასიას!

თფილისის „ზნამია ტრუდა"-ში დაბეჭდილია **სოციალისტ-რევოლიუციონერთა ცენტრალური კომიტეტის** შემდეგი მოწოდება:

მოხდა ის, რისაც ეშინოდა და გულის ფანცქალით ელოდა ბალშევიზმის ბუროსში გაუხვეული შეგნებული რუსეთი.

შეკრულია სამარცხვინო, დამამცირებელი ზავი.

ზავი ხელ მოწერილია რუსეთის დ რევოლიუციის გამყიდავთა მპყრობელი ხელით, რომელთაც სითამამე შესწევთ თავს უწოდონ „სახალხო" კომისართა საპატიო სახელი.

ჩვენი პარტია არ სცნობს ამგვარ ზავს, უარყოფს მას ყველა იმათთან ერთად, ვისთვისაც ძვირფასია მშრომელი რუსეთის საარსებო ინტერესები, დიდი რევოლიუციის მოპოვებანი და ინტერნაციონალის განუხრწნელი ალთქმანი.

მთელი ქვეყნისთვის დამღუპავი ზავი ზოგიერთი ოლქებისთვის და რუსეთში მოსახლე ერებისთვის კიდევ უფრო დამღუპველია. განსაკუთრებით კი ეს ზავი დამღუპველია კავკასიისთვის.

ინტერნაციონალი ყოველთვის იბრძოდა საერთაშორისო სოლიდარობისათვის, ყველა ტომთა, ერთა თავისუფლებისათვის. დიდმა რევოლიუციამ თავის დევიზათ აღიარა, სხვათა შორის, **ფედერატიული** რესპუბლიკა, რომელიც გააერთიანებს რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერებს ძმურ კავშირში და მიანიჭებს მათ სრულ თვითგამორკვევას.

კავკასია ერთი მარგალიტთაგანია დიდი რევოლიუციის გვირგვინისა. კავკასია ცხოვრობდა რევოლიუციის მონაპოვართა მკვიდრათ შენარჩუნების იმედით.

კავკასია, ერთი ბურჯთაგანი რუსეთის სახელმწიფოებრივობისა, უმდიდრესი წყაროა ხალხთა კეთილ დღეობისა,—ემზადებოდა **მთელი** რუსეთის აყვავების სახელით ცხოვრების ახალი ფორმების შესათვისებლათ.

მაგრამ სეპარატიულმა ზავმა, რომელიც როგორც მოწყალება გამარჯვებული მტრისაგან მივიღეთ, ეს იმედი და ამხო, გაჰფანტა ყოველგვარი ოცნებანი.

„სახალხო" კომისართა გადაწყვეტილებით აღშფოთებულია კავკასიაში მოსახლე მუსულმანობა,—არ იცის მან საით წავიდეს.—გაჰყვეს პანისლამიზმის სირინოზის ხმას, რომელიც მათ ოსმალეთისკენ ეპატიჟება, თუ რუსეთის რესპუბლიკის დამცველათ გამოვიდეს, რომელიც მუსულმანთა ჩამორჩენილ მასსას უქადის მყუდრო, თავისუფალ ცხოვრებას.

დაღონებულია მშვენიერი საქართველო, რომელმაც ასე დიდი ფიზიკური და სულიერი ძალა შესწირა ძველ რეჟიმთან ბრძოლას, ბრწყინვალე ნაციონალური პერსპექტივების, რევოლიუციის და სოციალიზმის სახელით. სეპარატიული, გამყიდავი ზავი თავის თავად დიდი რისხვაა ქართველი დემოკრატიის თავს მოვლენილი. ამას კიდევ ემატება ბათუმის ოლქის ჩამოშორება, რომელთანაც შეკავშირებული იქნებოდა ავტონომიურად მოწყობილ საქართველოს მომავალი, მისი იმედები.

გულ-მოკლულია უბედური სომხეთი,— ეს მრავალტანჯული მსხვერპლი მეფის რუსეთის და სულთანის ოსმალეთის ბოროტი ექსპერიმენტებისა. მთელი მისი ისტორიული გზა გაბმული მარტიროლოგიაა. დიდი რევოლიუციის დაწყებისთანავე მას იმედის მკრთალმა შუქმა გაუელვა. მუდმივი დევნით დაფლეთილ გულში საუკეთესო დღის დადგომის რწმენამ გაიღვიძა, იმის შესაძლებლობამ, რომ შესძლებდა თავისუფალ, საკუთარ კულტურულ გზაზე დადგომას. მაგრამ სეპარატიულმა, მოღალატურმა ზავმა დაუბრუნა ოსმალებს არა თუ დაპყრობილი სომეხთა სამი ვილაეტები, არამედ —ყარსიც და ამით ის ხელახლა გადაისროლა მტანჯველთა კლანჭებში. რუსეთის სომხების ბედი მჭიდროთ დაუკავშირდა რუსეთის რევოლიუციის ბედს, მითი **ოსმალების** თანამოძმეთ, რომელნიც გუშინ გათავისუფლდენ ოსმალეთის მონობის უღელს, ხელ-ახლა ედგმება ეს უღელი.

ამ გვარ ზავზე არ დასთანხმდება კავკასია, არც შეუძლია დასთანხმდეს, არც უნდა დასთანხმდეს.

არ სცნობს რა კავკასია ასეთ ზავს, ის ემზადება რომ საკუთარი ძალით დაიცვას თავი მტრის ჯარის შემოსევისა და ავაზაკთა ბრბოების აწიოკებისაგან.

და აი, აქ მოელის კავკასიას ახალი საფრთხე.

ბალშევიკურმა მთავრობამ ჩამოაგდო ზავი. მან გაჰყიდა კავკასიის ნაწილი და მანვე უნდა აიძულოს კავკასია დაემორჩილოს ასეთ ზავზე. საკმაოა ნემეცთა მტაცებლებმა ბალშევიკურ მთავრობას ცოტა ძალა დაატანოს, დაემუქროს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაუქმებულათ სცნობს მთელ საზავო ხელშეკრულობას, რომ ბალშევიკურმა მთავრობამ შესაფერად დააბოლაოს თავისი სამარცხვინო საქმე.

იმ ხალხს, რომელთაც არ შეუძლიათ სამხრეთ კავკასიის მწვანით მოსილი ადგილები ოსმალთა „ჩინოვნიკებს" და ქურთთა ავაზაკებს დაუთმოს, იმ ხალხს, რომელსაც არ შეუძლიათ თავის ღირსებას ლაქა მოსცხოს, ამ ხალხს ასეთი ურჩობისთვის ზურგიდან მახვილის ჩაცემა მოელის ბალშევიკური მთავრობისაგან.

მოქალაქენო რუსებო! თქვენ არ მისცემთ ამ გვარ შერცხვენამდე, არავის ნებას არ მისცემს ასეთი საშინელება და სასირცხო საქმე ჩაიდინოს.

უარყოფით შეხვდით ყოველგვარ დამსჯელ ექსპედიციაში მონაწილეობას თუ ის მიმართული იქნება ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ. არ გაატაროთ გზებზე ამ გვარი ექსპედიციები, ხელი შეუშალეთ ყოველგვარი საშუალებებით. თქვენი მთელი ძალ-ღონე გადასდეთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის განკარგულებაში, რომ დაცულ იქნას რუსეთის მარგალიტი ყოველგვარი საფრთხისაგან შიგნიდან იქნება ის თუ გარედან.

სინდისიერათ მოაზროვნე რუსეთის ვალია მხარი დაუჭიროს კავკასიას ფიზიკურათ, ნივთიერათ და ზნეობრივათ დამოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძოლაში, დიდი რევოლიუციის ლოზუნგების და ინტერნაციონალის განუხრწნელ ალთქმათა დაცვაში...

უგზავნის რა თავის წრფელ, ძმურ სალამს კავკასიის გმირებს და მოღვაწეთ, სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს ამხანაგებს და მოქალაქეთ ცხოველი მოწოდებით, რათა მათ დაუყოვნებლივი დახმარება აღმოუჩინონ რუსეთის რესპუბლიკის „მარგალიტს".

ამისკენ მოგიწოდებს თქვენი სოციალისტური ვალი. ამას ვალად გიხდის თქვენ რევოლიუციის პატივისცემა".

———

**ს. ხიდისთავი (გურია)** 11 მარტს, ს. ხიდისთავში გაიმართა ბასილეთის საზოგადოების მრავალ რიცხოვანი მიტინგი. გურიის კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. პ. თოთიბაძემ, მან გააცნო მიტინგს ამიერ კავკასიის კრიტიკული მდგომარეობა და რევოლიუციის კრიზისის დასაწყისი.

ორატორმა მოუწოდა ხალხს თავდაცვისათვის. ხალხმა აღუთქვა რევოლ. და სამშობლოს დაცვა. იმავე დღეს მოხალისეები ჩაეწერა 100 კაცი.

ბასილეთის რაიონში წითელი გვარდია შედგა პარტიული ამხანაგენისაგან. გვარდიელთა მიერ არჩეულმა „სამხედრო შტაბმა" მოახდინა მოხალისეთა და გვარდიელთა აღწერა. 13 მარტს მოხალისეები ბათუმისკენ გაემგზავრნენ. აღსანიშნავია, რომ ამავე დღეს გამოვიდნენ ბალშევიკები და დაიწყეს აგიტაცია არ წასულიყვნენ მოხალისეები.

სამხედრო შტაბის გადაწყვეტილებით დატყვევებულ იქმნა რამოდენიმე მათგანი, რომლებიც იმავე ღამეს თავდების ქვეშ განთავისუფლებულ იქმნენ და წინადადება მიეცა მათ კვლავ არ განიმეორონ ასეთი შავრაზმული გამოსვლები. გურიაში მუშაობის დღეები დაიწყო. მუშა-ხელი ნაკლებია. საჭიროა ვინც სოფლად დარჩა მიაქციონ ყურადღება იმ მეზობლებს და ამხანაგებს, რომლებიც რევ. დაცვისათვის ბრძოლის ველზე გაემგზავრნენ. ყველაზე მეტათ ამის ყურადღების მიქცევა ევალება რევოლ. რაიონულ კომიტეტებს.

სიმინდი გურიაში გასულ წელს საგრძნობლად ნაკლები იყო. დღემდის სამეგრელოდან შემოტანილი სიმინდი ფუთი 17 მანეთიდან 25 მანეთამდის იყიდებოდა, დღეს კი 27 მანეთად იყიდება.

მოსალოდნელია მაისში და, ივნისში 40 მანეთად გახდეს ფუთი.

„რადიკალი".

## ქალაქის საბჭოში

(19 მარტის სხდომა).

თავმჯდომარეობს ა. ლომთათიძე.

საბჭომ გაარჩია მთელი რიგი წვრიმალი საკითხებისა. ნება დართო ქალაქის გამგეობას აიღოს 1 მილიონი მან. სესხი ავჭალიდან მესამე წყალსადენის გამო-

საყვანათ. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენებები, რომელთა თანახმათ ქალაქის საავათმყოფოებში დღე და ღამის განმავლობაში ავადმყოფის მოსავლელი ფასი გადიდებულ იქნა 1 მ. 50 კაპეიკამდე; მასწავლებელ ქალთა და აღმზრდელთა საზოგადოების სკოლას მიეცა 10 ათასი მანეთი დახმარება; ქალაქის თვითმართველობის იმ მოსამსახურეებს, რომლებმაც თავი გაანებეს სამსახურს არა თავის სურვილით, გამცდარი დრო ჩაეთვლებათ სამსახურში; მომრიგებელ სასამართლოს რეფორმის განსახორციელებლად თფილისი უნდა დაიყოს 5 რაიონათ. თვითეულ რაიონში დაინიშნება იმდენი მომრიგებელი მოსამართლე, რომ მომჩივანსა და პასუხისმგებელს შეეძლოთ საშშობლო ენაზე ლაპარაკი; დაწესდა ნიხრი სასტუმროების ოთახებზე; ნიხრის თანახმად ფასები ძალზე დაწეულია, ამით სასტუმროს პატრონთა თვითნებობაც რამდენიმეთ მაინც იზღუდება. აღსანიშნავია, რომ სასტუმროების პატრონთა ინტერესების დამცველათ გამოვიდა ნაფიცი ვექილი ი. მაჭავარიანი (ეროვ.-დემოკრ.); ნება მიეცა გამგეობას მოსთხოვოს სამხედრო უწყებას 160 ათასი მან. ჯარების ბინის ფასათ; გამგეობამ უნდა გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, რომლის თანახმათ სახლის პატრონებმა უნდა გაანათონ ეზოები და საერთო კიბეები, ალაყაფის კარებზე ჩამოჰკიდონ ფარნები და შევსებულ უნდა იქნას მეეზოვეთა შესახებ ინსტრუქცია; ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის წესდების შესახებ საკითხი გადაეცა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს; ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მოსამსახურეთა შტატს მიუმატეს მზარეულის თანაშემწე და ორი მეთვალყურე; უნდა გაფართოვდეს ლვინის აღმართი, რომელიც აერთებს სიონის ქუჩას მაიდანთან; ქალაქის ბიბლიოთეკა სამკითხველოების მოსამსახურეთა შტატი უნდა იქნას შევსებული; დაკმაყოფილებულ იქნა დასახიჩრებულ სამხედრო პირთა კავშირის შუამდგომლობა, რომლის თანახმათ კავშირს გადაეცემა 6 მარტს თეატრების შემოსავლიდან ქალაქის სასარგებლოთ გადასახადი.

ი. სემიონოვის წერილობით შეკითხვაზე, იცის თუ არა ქალაქის გამგეობამ, რომ ბინის უქონლობის გამო სეიმის კომისიების მუშაობა ძალზე ფერხდებაო, ქალაქის თავმა განაცხადა მიღებულია ყოველივე ზომები, რომ ვიშოვოთ ოთახები კომისიების სხდომებისთვისო.

შემოვიდა წერილობითი განცხადება, რუსების ეროვნულ ყრილობაზე მოპატიჟებული იყო ქალაქის გამგეობა და რატომ არ მოვიდა და არ მიესალმა ყრილობასო. ამის საპასუხოთ ქალაქის თავი ნ. ელიავა ამბობს: ჩვენ მივიღეთ მხოლოდ ბილეთები, არ იყო აღნიშნული, თუ ვინ ან სად გვიწვევდა და რომც მივეპატიჟებინეთ, ჩვენ მაინც არ ვიყავით ვალდებული მივსალმებოდით ყრილობას, მიპატიჟება ხომ ვალდებულება არ არის! თუ ფიქრობენ, რომ ჩვენ ისედაც უნდა მივსალმებოდით ყრილობას, ეს არ არის სწორი შეხედულება. აქ ქართველების ეროვნული ყრილობაც კი იყო, მაგრამ ჩვენ არ მივსალმებივართო.

საბჭომ მიიღო გამგეობის მიერ შემუშავებული ნიხრი კერძო ბინებისა.

მთავარი საკითხი, რომელიც საბჭომ განიხილა, არის საკითხი ტრამვაის ტარიფის გადიდების შესახებ. საბჭომ დაადგინა გადიდებულ იქნას ტარიფი შემდეგ ნაირათ: 20 კაპ. მაგიერათ 50 კაპ.; 10 კ—30 კ; 5 კ—20 კ. და 3 კ. მაგივრათ 20 კაპ. ჯარისკაცები და მოწაფეები ისევ ძველი შეღავათით სარგებლობენ. ეს დადგენილება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 1 აპრილისა.

დასასრულ, აირჩიეს გამგეობის მეთორმეტე წევრი. არჩეულ იქნა ი. ი. კურამოვიჩი (მუსულმანი).

ვან-ხონ.

## ქუთაისის ამბები

გუბერნიის კომისარის განკარგულებით დაიხურა სამხედრო წესების მოხსნამდე ქუთ. გუბერნიაში სოციალისტ. რევ. გაზეთი „სოციალისტ-რევოლიუციონერი", რომელშიაც ცრუ ცნობებს ათავსებდენ თითქოს მენშევიკები პოზიციაზე ხალხს აგზავნიდენ უპუროთ და უიარაღოთ. ამასთანავე გაზეთი ყველა ნომრებში ხალხს მოუწოდებს არ დაემორჩილონ ამიერ-კავკასიის სეიმის კანონს მიწის შესახებ.

სამხედრო წესების მოხსნამდე დაიხურა აგრეთვე ბოლშევიკების გაზეთი „ჩვენი ბრძოლა", რომელიც მოუწოდებდა გლეხებს, მუშებს და ჯარისკაცებს მიმხრობოდენ ლეჩხუმის მაზრის შეამბოხე ბრბოს და მეორე მხრივ მოუწოდებდა ამიერ-კავკასიის მთავრობის ჩამოსაგდებათ და მთელი ძალა-უფლების სახალხო კომისრების ხელში გადასვლას.

ლეჩხუმის მაზრაში არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის დავით სიმონისძე ჩხეიძეს გუბ. კომისარმა გადაუწყვიტა ერთი თვის ციხე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სამარცხვინო ზავი.**

სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობაზე გერმანიის მიერ წამოყენებულ ზავის პირობების დამტკიცების გამო თფილისის „იზვესტია"-ში სტან. ვოლსკი, სხვათა შორის, სწერს:

„ოფიციალურმა სააგენტომ ორატორთა სიტყვებიდან ყველა ის ადგილები გამოტოვა, საიდანაც შეიძლებოდა დაწვრილებით გასცნობოდა კაცი ამ სამარცხვინო ზავის პირობებს. ჩიჩერინის სიტყვაში გამოტოვებულია ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ამიერიდან მეგობრული სახელმწიფოს წინააღმდეგ რევოლიუციონური აგიტაციის მოსპობის შესახებ, იმ ზარალის ანაზღაურების, რომელიც გერმანიის სესხის გამცემთ მოუვიდათ, რომელთაც ხელთ აქვთ რუსეთის სესხის ქაღალდები. გერმანიის მესაკუთრეთა უფლების აღიარების შესახებ, რომელთაც რუსეთში მამულები აქვთ და რუსის ბანკის აქციები შეუძენიათ. სრულიად გამოტოვებულია მუხლი ფულით კონტრიბუციის გადახდის შესახებ. გამოტოვებულია ამხ. მარტოვ ს სიტყვა და არც კამკოვის სიტყვაა მოყვანილი, რომლის სიტყვიდანაც ბევრ საინტერესო რაიმეს გავიგებდით, რაიცა შეეხება მემამულეთა მიწების შესყიდვას ნემეცკია აგენტების მიერ. საერთოდ, ჩვენამდე მოაღწია მოსკოვში მომხდარი ტრაგი-კომედიის მკრთალმა სურათმა...

ბატონ ლენინს ერთხელაც არ წარმოუთქვამს სიტყვები „გერმანიის ბურჟუაზია", „გერმანიის იმპერიალისტები". მას დარჩა მხოლოდ ორი სიტყვა—„რუსეთის ბურჟუაზია", რომლის შესახებაც ყველაფრის თქმა შეიძლება და შეიძლება ლაპარაკი აგრეთვე „საზოგადოთ ბურჟუაზის" შესახებ, რომელსაც არც საკუთარი, არც მამის სახელი გააჩნია. ის კაცი, რომელიც საქმის შინაარს არ არის გაცნობილი, ისე ადვილათ ვერც კი გაიგებს, თუ ვინ აიძულებს რუსეთს ასეთ „მძიმე პირობებში" ზავის შეკვრას, ვისი ჯარები იკავებენ რუსეთის ტერიტორიას და სხვა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ხელშეკრულობის ის მუხლი, სადაც სწერ ა, რომ ცენტრალური იმპერიების წინააღმდეგ რევოლიუციონური აგიტაცია უნდა მოისპოს, ცხოვრებაში ტარდება სიტყვის შეუბრუნებლათ.

**ზავი და პროვინციის საბჭოები**

გერმანელებთან სეპერატიული ზავის შეკვრამ პროვინციის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების პროტესტები გამოიწვია.

ტამბოვის საგუბერნიო მუშათა და ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ სთქვა: „ჩვენ მოვითხოვთ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისაგან არას შემთხვევაში არ დაამტკიცოს გერმანელ იმპერიალისტებთან შეკრული ზავი. ჩვენ არ გვსურს მონებათ გავხდეთ. უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე გათავხედებულ გამარჯვებულ მტერს ჩავბარდებოდეთ. ძირს სამარცხვინო ზავი; გაუმარჯოს სამღვთო ომს!".

ამავე საბჭოს ჯარისკაცთა სექციამ დაადგინა,—რათა ზავზე ხელის მომწერნი ლენინი, ტროცკი და სახალხო კომისართა საბჭოს სხვა წევრები გადადგნენ. ჯარისკაცთა სექციას ამ საკითხში მხარი დაუჭირეს ტამბოვის რკინის გზის მოსამსახურეებმა.

კოსტრომის საბჭოს ასეთი ზავი მიუღებლათ მიაჩნია. მოუწოდებს პროლეტარიატს და გლეხობას ჩაეწერონ წითელ არმიაში და ებრძოლონ გერმანიის იმპერიალისტებს.

უფის საგუბერნიო საბჭომ დეპეშით აცნობა კომისართა საბჭოს, რომ ასეთ ზავზე ხელი არ მოაწეროთ. ამ გვარივე მოთხოვნა გაუგზავნა კომისრებს ზლატოუსტის საბჭომ.

სამარცხვინო ზავის წინააღმდეგ განაჩენები გამოიტანეს—კურსკის, სარატოვის, ვორონეჟის, სამარის, რიაზანის, ყაზანის, ვლადიმირის, ნიჟეგოროდის, ტულის, კალუგის, არხანგელის და სხვა საბჭოებმა.

ზოგიერთ საბჭოებში ზავის ხელშეკრულების განხილვის დროს ბოლშევიკებს შორის განხეთქილება მოხდა. ვოლოგდის საბჭოში, მაგალითად, ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო კამათმა, რომ იძულებული გახდენ სხდომა დაეხურათ.

დეპუტატების ერთმა ნაწილმა მიტინგი მოიწვია ჩრდილოეთ რკინის გზის სახელოსნოებში და ქალაქის თეატრში, სადაც დაადგინეს შემდეგი: არავითარ შემთხვევაში არ იქნას შეკრული ზავი გერმანიასთან; დაუყოვნებლივ შეწყვეტილ იქნას სამოქალაქო ომი; აღდგენილ იქნას მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი; მოწვეულ იქნას ყველა ქვეყნების სოციალისტთა კონფერენცია; მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება და სხ.

სახალხო კომისარების მიერ ხელმოწერილმა ზავმა დააკმაყოფილა მხოლოდ მცირე რიცხვი საბჭოებისა, უმრავლესობამ კი—რუსეთის დემოკრატიისთვის სამარცხვინო საქმეთ აღიარა ასეთი ზავი.

## ვარლამ ჭანტურიშვილი

ს. დ. სადახლოში შეტაკების დროს მძიმეთ დაჭრილი, გურიის საგანგებო რაზმის ერთი საუკეთესო წევრთაგანი, სიცოცხლით და ენერგიით სავსე ახალგაზრდა მებრძოლი, ძვირფასი ამხანაგი, ვარლამი, წუთი სოფელს გამოესალმა.

18—19 წლის თავგანწირული უსწორო ომში მსხვერპლათ დაეცა... მუხთალი ტყვიისგან გულგანგმირული, თავის მძიმე მოვალეობის წინაშე უდროოთ დაცემული, ნორჩი სიცოცხლე ცივ სამარისკენ მიეშურება...

მან სიხარულით გამოსწია თფილისისაკენ საყვარელი გურიიდან, მოშორდა მშობლებს და მეზობლებს..

ის საბედისწერო დროს გამოცხადდა მებრძოლთა რაზმში თავისუფლებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის, უკეთესი მერმისის დასაცველათ.

მუდამ მომღიმარი, ნიჭით აღვსილი, მხნე, მკვირცხლი და გატაცებული, დღეს უბრუნდება მშობლიურ მხარეს სამუდამოთ დადუმებული, რომ დაიტირონ უკანასკნელათ ბრძოლაში დაღუპული ღირსეული შვილი.

მშვიდობით!.. მშვიდობით ძვირფასო მებრძოლო! შენი სახელი ჩვენში სამარადისოთ დარჩება და შენი უდროო დაღუპვა ჩვენ გვავალებს კიდევ მეტ თავგანწირვას ქვეყნის დასაცავათ და თავისუფლების დასახსნელათ...

მოვა დრო და ისტორია თავის ფურცლებს გადაუშლის მათ, ვინც ხალხს ანაცვალა თავისი ბედნიერება და სიცოცხლე...

თქვენ დაამთავრეთ ცხოვრების წიგნი, მაგრამ თქვენი ღვაწლი წაუშლელი დარჩება ჩვენს ტანჯვა-წამების ისტორიაში.

შენი ანანია.

## დ. ბ. იმნაიშვილი

მეტათ სამწუხარო ამბავი მივიღეთ გურიიდან.

12 მარტს ხანმოკლე ავაითმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ს. შუხუთში ხაშურის გიმნაზიის მე 7 კლასის მოწაფე დ. იმნაიშვილი. ამ ამბავმა თავზარი დაგვცა მის ამხანაგებს.

დათიკოს ფართე საზოგადოება არ იცნობდა. ის საზოგადოებრივ საქმეში ეხლა ებმებოდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა და ულმობელმა სიკვდილმა საუკუნოთ მოაშორა წუთისოფელს.

დათიკო წევრი იყო ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა.

მისი დაკვირვებული, მახვილი გონება ამხანაგების დიდ ყურადღებას იპყრობდა. მისი დაკარგვით დემოკრატიას ერთი ნიჭიერი და ენერგიული მუშაკი მოაკლდა.

მაგრამ ის იმედი, რომ მისი ამხანაგები განაგრძობენ იმ გზით სიარულს, რომელსაც განსვენებული დათიკო ადგა, უკვდავ ჰყოფს ამხანაგებში მის ხსოვნას.

მშვიდობით ამხ. დათიკო!

ხაშურელი ამხანაგები ცხარე ცრემლებით დასტირიან შენს უდროვოთ გაციებულ გვამს და ფიცსა სდებენ შენს ცხედრის წინაშე, რომ არ ულალატებენ იმ იდეას, რომელსაც შენ პირნათლათ ემსახურებოდა სიკვდილამდე

დაუვიწყარი იქნება შენი ხსოვნა ჩვენს გულში!..

ვარ. მანელი.

## ფოთის ამ-ბარში

როგორც ყველგან, ისე ფოთშიაც, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებამ დიდი ყურადღება მიიპყრო საზოგადოების ყველა ნაწილისა.

ჯერ იყო და დროებითი ზავის ჩამოგდებამ ერთი ორათ აწყია აქაური ბოლშევიკების „აქციები".

მათ ტრაბახობას საზღვარი აღარ ჰქონდა. ამვლელ ჩამვლელთ, ყველგან ყოველთვის ყურში ჩასძახოდენ: „ჩვენ ზავი ჩამოვაგდეთ! ხომ დარწმუნდით ეხლა, რომ „იბორონცებს" ზავი არ უნდოდათ"-ო.

მაგონდება ერთი მიტინგი ჯარისკაცებისა სახელოსნო სკოლასთან. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ გამართა ეს მიტინგი, რომ გაეცნო ჯარისკაცებისთვის მდგომარეობა, ამიერ-კავკასიის დემოკრატიის მიერ გადადგმული ნაბიჯები მმართველობის სხვადასხვა სფეროში, რადგან სხვადასხვა ჯურის პროვოკატორები მეტის მეტათ აღელვებდენ ჯარისკაცებს და აუცილებელი შეიქნა მათი დამშვიდება. გაკეთდა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, გამოითქვა სხვადასხვა აზრი, გააკეთეს შეკითხვები მობოლშევიკო ჯარისკაცებმა... და აი, ამ დროს ტრიბუნაზე ადის გაზეთით ხელში ერთი სოც.-ფედერალისტი და აცნობს ჯარისკაცებს, რომ დროებითი ზავი ჩამოაგდესო—და ბოლშევიკებს ქება-დიდება უძღვნა.

შთაბეჭდილება ნამეტანი დიდი იყო. საზოგადოება მხოლოდ ზავზე ლაპარაკობდა, მხოლოდ ზავზე ოცნებობდა. იმ წამშივე, რაკი დროებითი ზავის ჩამოგდება ფაქტი გახდა, აქაურმა „მეშჩანებმა" და გაჯარისკაცებულმა „ობივატელშჩინამ" უკუაგდო დემოკრატიის დიდი ლოზუნგები და თავის გულში სამუდამოთ მოურიგდა ვილგელმს. „ზავი, რათაც უნდა დაჯდეს ის"!—შეიქმნა მათი ლოზუნგი. „სამშვიდობოთ" განწყობილი მოქალაქეები მიუხედავათ მათი მონური—მორჩილებითი განწყობილებისა, მაინც ვერ ასცდენ ათასგვარ საშიშროებას. ბოლშევიკური საფრთხე მათ წინ უდგება ხან მატროსების, ხან ბოლშევიკ ქართველ და რუს ჯარისკაცების სახით.

ფოთის „მეშჩანობა" ძლიერ დააფრთხო რუსეთის სამოქალაქო ომის გრიგალმა, ის შეეცადა წინდაწინ გაემზადებინა თავისი თავი „მომავალ" ბოლშევიკურ მთავრობის შესახვედრათ; ის დაიჯერეს, რომ ბოლშევიკების მოსვლა აუცილებელიაო და ისიც დაემორჩილა ბედს.

ათასნაირი პროვოკაციული ხმები ერთი მეორეზედ ვრცელდებოდა ელვისებური სისწრაფით: „აი მატროსებმა ბოლშევიკებმა ბათომი აიღეს და ფოთში მოდიანო;—ხვალ ჯარისკაცები არსენალს ეცემიანო,—თფილისი უკვე აიღე ბოლშევიკებმა და შაუმიანი განაგებს ამიერ-კავკასიასო" და სხვ...

ბოლშევიკებზე ამ დროს ყველა ლაპარაკობდა, ყველაზე მეტად კი თვითონ ბოლშევიკები...

ერთი სიტყვით, ატყდა საშინელი ხმაურობა ბოლშევიკების გარშემო და ბევრ გზაკვალ აბნეულ უსუსურ „ობივატელს" მართლაც ეგონა ბოლშევიკები რამეს აკეთებდენ და თვალი მათკენ ეჭირა, რომ პირველსავე გასაჭირის დროს მათ ბანაკში გადამხტარიყო...

მაგრამ „ობივატელი", როგორც ყოველთვის, ისე ახლაც მოსტყუვდა, ჯერჯერობით მას ბოლშევიკების მოვლინება მხოლოდ ფანტაზიის ვარჯიშობათ დაუჯდა!

საზავო მოლაპარაკებას მოჰყვა ზავი, დემოკრატიის საშინელი მარცხი ოცნებამ ადგილი დაუთმო სინამდვილეს; დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ტროცკი ოცნებობდა გერმანელი იმპერიალისტების წამოჩოქებაზედ, ეხლა კი თვითონ ტროცკიმ წამოიჩოქა ვილგელმის აგენტების წინ და შესთხოვდა: „ზავი, ზავი მოგვეცითო";—მაგრამ ზავი არსად იყო.

რუსეთი დაეცა, რევოლიუცია უფსკრულს მიადგა და უკვე მზათაა გადაიჩეხოს შიგ. ბოლშევიკები სასტიკათ დამარცხდენ: მათ ვერც ერთი თავისი დაპირებათაგანი ვერ აასრულეს, გარდა სამოქალაქო ომის ენერგიულათ წარმოებისა.

ფოთელ ბოლშევიკებს (ლაპარაკია მათ ჯგუფზე) ცოტა არ იყოს ეოცა ზავის საკითხის ასე „ორიგინალურათ" გადაჭრა. ერთხანს არაფერი სჯეროდათ სიმართლის, ყველაფერს კონტრ რევოლიუციასა და ამიერ-კავკასიის კომისარიატს აბრალებდენ.

ბოლოს ჩუმათ მათაც იცნეს ჭეშმარიტება, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს. ახლა ისინი იმის მტკიცებას უნდებიან, მართლა აიღეს ნამცებმა პეტროგრადი, თუ არა, თითქოს, თუ პეტროგრადი აღებული არაა, ეს რამეს მატებდეს მათ პოლიტიკურ „გამჭრიახობას".

ერთ დღეს ფოთში შეგროვდა ტრაპიზონიდან სახლში მიმავალი ჯარისკაცები—წმინდა წყლის ბოლშევიკები და ქალაქში ყველაფერი აირია. შეიარაღებული ჯარისკაცები თოფებით ხელში, პატრონტაშებით გულ-მკერდზე თითო თითო და ჯგუფ ჯგუფათ დაჭრიდენ ფაიტონებით, ისროდენ, თითქოს ზეიმს იხდიდენ ტროცკის დიდი დიპლომატიური გამარჯვების გამო..

სწორედ ამ დროს ფოთელები ტყობილობენ სამარცხვინო ზავის ამბავს; შეიტყვეს, თუ როგორ გაჰყიდეს კავკასია, მათ ერთხანს ვერ დაეჯერებიათ სინამდვილე, ვერ წარმოედგინათ, თუ ასეთ სისაძაგლეს ჩაიდენდა ვინმე; ბოლშევიკები კი მათ ანუგეშებდენ: „ყველაფერი პროვოკაციააო".

18 თებერვალს წითელი გვარდია ბათუმში წავიდა, საზღვრებს მიაშურა და ამით უჩვენა „მეშჩანებს" თავისუფლებისთვის ბრძოლის გზა.

მეორე დღეს ქალაქის თვითმართველობამ გამართა მიტინგი ქალაქის გამგეობის დარბაზის წინ. ხალხი ბევრი დაესწრო. ილაპარაკეს სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებმა და მოუწოდეს ხალხს რევოლიუციისა და თავისუფლების დასაცავად. ხალხი კარგად შეხვდა ორატორებს, ეტყობოდა მხოლოდ, რომ ის მძიმე ფიქრებს შეეპყრო, მას უნდოდა გარკვეულიყო და დამშვიდებით აეწონა მომავალი საფრთხე... სამწუხაროთ, სწორეთ ამ დღეს იყვნენ ფოთში ტრაპიზონელი ჯარისკაცები; მათ, როგორც „აქტიურმა" მოქალაქეებმა არ დაიშურეს დრო და შრომა, რომ ფოთელებისთვის განემარტათ, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს „მოქალაქის ვალდებულობა" მოსალოდნელ მარცხის დროს. ისინი არწმუნებდენ მსმენელებს, რომ თათრების ომი არ უნდით (მხოლოდ ბათომი და ყარსი!!), რომ არ არის შეძლება წინააღმდეგობა გაუწიოთ მტერს, რომ ჯერ წავიდენ ისინი, ვინც სახლში დარჩენ და სხვა. ასეთი სიბრძნე ბევრი ისმინა ფოთელებმა ფრონტზედ ბოლშევიკების მიერ მოშხამულ ჯარისკაცებისაგან.

ერთს მეორე ორატორი მოჰყვა; ამან კომისარების გადაყენება მოითხოვა! როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ვაჟბატონი თურმე არყით ვაჭრობს, კომისარი სდევნის მას და ამიტომ მთელი კომისრების მტრობა გულში ჩაუხვოვია.

მესამემ ნათლათ გამოაშკარავა, თუ რისთვის მოსულიყვნენ ეს რაინდები კრებაზე. აღმოჩნდა, რომ ორი ჯარისკაცი დაეკავებიათ და ციხეში ჩაესვათ ქუჩებში უწესოების მოხდენისთვის. დატუსაღებულები სარევოლიუციო ტრიბუნალის სასამართლოში მისცეს.

მიტინგი დაიშალა მშვიდობიანათ და ხალხი იმავე დღეს ბლომათ ჩაეწერა სახალხო მილიციაში, განსაკუთრებით პარტიული მუშები—160 კაცი.

ფოთს უკვე ჰყავს 200 კაცისაგან შემდგარი წითელი გვარდია, სადაც უმეტესობა ძველი პარტიული ამხანაგებია, ასე რომ, დიდ საქმეს აკეთებენ აქაური მუშები რევოლიუციის დასაცავად.

აქაური წითელი გვარდია მტკიცეთ სდგას თავის სიმაღლეზე. ის იცავს სრულიად უსასყიდლოთ ყველა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დაწესებულებებს, მან პირველსავე დაძახებაზე მიაშურა ქუთაისს და იქაც ჩინებულათ შეასრულა თავისი მოვალეობა; ისვე პირველი ჩავიდა ბათუმში და ერთი კვირა დარაჯობდა მის მიდამოებს.

ტრაპიზონელ „ბოლშევიკ" ჯარისკაცებს არ მოეწონათ წესრიგის დამცველი გვარდია. ისინი მიტინგზე გაიძახოდენ: „გვარდია რა საჭიროა, დამცველები ჩვენ ვართო! გვარდიელები ბურჟუების არიან"-ო და სხვ..

ბოლოს გამოირკვა, რომ ეს ვაჟბატონები ყოფილან ქუთაისიდან გამოხვეწილი ჯარისკაცები, ქუთაისის დარბევის მონაწილენი.

პირველი მიტინგის შემდეგ ერთხანს საქმე მინელდა და ერთობ აირია. ხალხი მოდიოდა ჩასაწერათ, მაგრამ არ იცოდენ, სად და როდის ჩაწერილიყვნენ. უმეტესობა მილიციაში ეწერებოდა, ზოგი გვარდიაში, ზოგიც კიდევ ჯარში მიდიოდა. ამ არევ-დარევაში გავიდა ერთი კვირა კიდეც, სანამ საქმეს თავდარიგი მიეცემოდა. ბოლოს შესდგა სამობილიზაციო კომისია პარტიებისა და ქალაქის წარმომადგენელთაგან. ამ კომისიას უნდა მოეწესრიგებია მობილიზაციის საქმე. გადაწყდა გაეწვიათ ხალხი მილიციაში და შემდეგ იქიდან ხნობის და მიხედვით გადაეყვანათ ჯარში 18—25 წლიანები.

ასე იდგა კითხვა, როდესაც გაიმართა დიდი მიტინგი. ხალხი რაიონებიდან მოვიდა თავ-თავისი დროშებით. ეს მიტინგი მოწვეული იყო რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავათ. ილაპარაკეს ს. დ-ების და ს.-ფ სტების წარმომადგენლებმა. მიტინგი მწყობრათ ჩატარდა და ჩაწერილთა რიცხვი გაიზარდა.

ამ ხნობით ჯარში გაწვევის საქმე მიენდო სენაკის სამხედრო საკრებულოს, რომელმაც ფოთში გამოგზავნა თავისი წევრი, რომ ფოთელ ჯარისკაცებს შეძლებოდათ ფოთშივე მოეხადათ თავისი ვალი. კომისიაში შედის ქალაქის და მ. და ჯ. საბჭოს წარმომადგენელი.

მობილიზაციის უკანასკნელ ვადათ კომისარის განკარგულებით დანიშნულია 20 მარტი, ცდილობენ საქმე დააჩქარონ და აღმ. კომიტეტის დადგენილებით 16 მარტის შემდეგ ძალას იხმარებენ მათ წინააღმდეგ, ვინც არ გამოცხადებულა.

საზოგადოთ, როგორც ყველგან ჩვენში, ისე ფოთშიაც იზრდება თავდაცვის სურვილი, იზრდება ენერგია და თადარიგი მატულობს.

არიან აქაც ბევრი ნაძირალები, ასეთები ათას ჭორებს სთესვენ, შხამავენ საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ გასავალი პროვოკაციას არ აქვს.

სარევოლიუციო ტრიბუნალი ენერგიულათ ებრძვის ნაძირალებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, ადრე გასწმენდს ფოთს.

აქაური ბოლშევიკები თავდაცვის მომხრე არიან, თუმცა საქმე მათი არა სჩანს.

უკანასკნელი მიტინგის დახურვის დროს ერთმა ვაჭარმა მორცხვათ გამოაცხადა, საჭიროა კაპიტალის მობილიზაციაო. ეს ბევრს არც გაუკვირია, რადგან ხალხი უკვე იშლებოდა, და ვინც გაიგონა, მათაც არ მიუღიათ სერიოზულათ, რადგან ყველა იცნობს ფოთის ვაჭრებს და დარწმუნებულნი არიან, რომ მათთან მოწოდებით საქმე არ გაკეთდება.

აქაურ ვაჭრებს ნაკლებათ აწუხებს, თითქოს, თათრების შემოსევა, მათ ჯერ კრინტიც არ დაუძრავთ, რომ ნივთიერი დახმარება გაუწიონ რევოლიუციონური ომის წარმოებას.

სხვა ქალაქებში უკვე მიუღიათ რადიკალური ზომები, რომ ვაჭრებს ფული გამოაღებინონ ომისათვის. აქაც ამ გზას ვერ ასცილდა რევოლიუციონური ორგანიზაცია და რაც ადრე დაადგება ამ გზას, მით უკეთესი. უკვე აღმ. კომიტეტმა აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამონახოს ზომები კაპიტალის „მობილიზაციის" მოსახდენათ.

აქ არის ალებ მიცემობის ხალხი, რომელიც ოსმალეთის ორიენტაციასაც მზათაა მიემხროს, ოღონდ მათ ნუ შეაწუხებენ ომით! ზოგიერთს ამათგანს, სხვათა შორის, ის მოჰყავს საბუთათ, რომ ბათომი თუ თათრებს დარჩა, ფოთის მნიშვნელობა აიწევს და ჩვენ მეტს შევიძენთო.

ლ. კილურაძე.

## ბოლშევიკურ რუსეთში

(პეტროგრადიდან თბილისამდე)

**შინაური ფრონტი.**

(დასასრული).

მე გამოვიარე შინაური ფრონტი სად. ტიხორეცკაიადან არმავირამდე.

სად. ტიხორეცკაიადან შეუჩერებლათ გამოგვისტუმრეს, როცა რკინის გზის კომისარს ქრთამი მივეცი, მაგრამ ისე ჩქარა გამოგზავნა მატარებელი, რომ ვაგონში დარჩენ მისი ამხანაგები, ტიხორეცკაიას სამხედრო-რევოლიუციონერ კომიტეტის წევრები, ამათ თურმე ეგონათ ჩვენ ტყვეთ ჩავიგდეთ და კავკასიაში მოგვყავდათ. რომ გაექარვებიათ ჩვენი ეჭვი, დაგვიწყეს მტკიცება, რომ ბოლშევიკებს ძლიერ უყვართ კავკასიელები.

გაჰჩერდით თუ არა, ჩამოხტენ და შემდეგ სადგურს აცნობეს დეპეშით:

„ტიხორეცკაიადან გამოიქცა კადეტების საქვეო მატარებელი: მიიღეთ ყოველივე ზომები".

ამ დეპეშამ თავისი ჰქნა. სად. კავკასკაიაზე ჩვენი მატარებელი გაუშვეს სადგურის წინ, გაიყვანეს მინდორზე და გაგვაჩერეს. აქ წინდაწინ ტყვიის მფრქვეველები დაემზადებინათ. ორთქლმავალი მოხსნეს და დეპოში გაგზავნეს. დავრჩით ასე ტყვიის მფრქვეველებით გარს შემორტყმული. მთვარიანი ღამე იყო. უცბათ ტყვიის მფრქვეველებიდან დაიძრა ჩრდილები და დიდის სიფრთხილით წამოვიდენ ჩვენკენ. ჭიანჭველებივით შემოეხვიენ ვაგონებს, ვინტოვკებით ხელში, ამოცოცდენ ყოველი მხრიდან და უცბათ გაისმა ღრიალი:

— ხელები მაღლა!

შემოიჭრენ ვაგონებში.

— მოგვეცით იარაღი. ვინც არ მოგვცემს, აქვე მოვკლავთ.

ვიღაცას უნდა დაამშვიდოს ეს გამხეცებული ხალხი.

— რა გნებავთ ამხანაგებო? ჩვენ უკვე ათჯერ გაგვჩხრიკეს.

— თუნდაც ასჯერ, ჩვენ ვერვის ვერ ვენდობით. ეხლა ჩვენ თვითონ...

— რა ამბავია ეს ამხანაგებო? რამ აგაშფოთათ"?

— მოგვყევით ერთი, ვითომ არ იცით. ჩვენ აქ პოზიცია გვაქვს. საით მიდიხართ თქვენ ეს ჩვენ ვიცით.

— აბა რა იცით?

— ისა, რომ კალედინთან მიდიხართ...

ჯარისკაცმა არაფერი იცოდა კალედინის თვითმკვლელობის შესახებ და არც ის, რომ დონი ჩვენს უკან შორს დარჩა...

დაიწყო ჩხრეკა, არა ჩვეულებრივი ბოლშევიკური ჩხრეკა, ნერვიული გაბოროტებული ჩხრეკა, როცა გაბოროტებულ ადამიანებს მისკენ მიშვერილი რევოლვერის ტუჩი ელანდება ყოველ კალათში, ყველგან.

ერთ ქართველ ჯარისკაცს უპოვნეს გაუტენავი ყუმბარა.

— აა! აი თურმე სად ყოფილა—გაათავეთ ჩხრეკა ბიჭებო! სხვა არაფერი გვინდა, აი ეს ყუმბარა დავახეთქოთ ამათში.

არ დაახეთქეს იმიტომ, რომ ნახეს გაუტენავი იყო.

თითქმის გათენებამდე აფათურებდენ ხელებს ნივთებში. გათენებისას დასტოვეს დარაჯები და წავიდენ. თან გამოგვიცხადეს:

— დილით გაგასამართლებთ!

არ ვიცოდით რისთვის გვასამართლებდენ, მხოლოდ ის კი ვიცოდით, რით გათავდება ეს გასამართლება.

სამი საათის შემდეგ მოდარაჯენი აქეთ-იქით წავიდენ. მგზავრები მაინც ვერ ბედავდენ ვაგონიდან გამოსვლას. ბოლოს ავირჩიეთ დელეგაცია და გავგზავნეთ სადგურზე.

სადგურზე აშარებელი ხალხი იყო და მთვრალ ხალხს ღავლავი გაჰქონდა, ყურთა სმენა აღარ იყო, ყველაზე მეტად მთვრალი კომისრები იყვნენ.

ყვიროდენ, რომ როსტოვი აიღეს, ორი დღის შემდეგ ეკატერინოდარს აიღებენ, შემდეგ ჯარი კავკასიაზე მიდგება. მგზავრების წარმომადგენლებს განუცხადეს:

— თქვენი მატარებელი ძლიერ კარგია. მას ჩვენ დავიტოვებთ და თქვენ ბურჟუების საბარგო მატარებელიც გამოდგებაო.

ამ დროს სად. ტიხორეცკაიადან დეპეშა მოვიდა:

— დაგვიბრუნეთ კადეტების მატარებელი. აქედან უპასუხეს:

— მატარებელი დავიჭირეთ, ვაგონებს ვიტოვებთ პოზიციისთვის.

ტიხორეცკაიამ უპასუხა:

— კარგი, ვაგონები დაიტოვეთ, ჩვენ კი გამოგვიგზავნეთ ნივთები და მგზავრები.

ამაზე დაეთანხმენ.

კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავვარდით. ვაგონების გარშემო ბრბო ღრიალებდა, გვესმოდა მუქარის ხმები.

ჩვენ ნაცად საშუალებას მივმართეთ, სადგურის ერთ მთვრალ კომისარს ქრთამი ბლომათ მივეცით. ამან გვიშველა. მან ალგვითქვა არმავირისკენ გაშვება.

მაგრამ ამ დროს არმავირიდან დეპეშა მოვიდა:

ყაზახები და ჩაჩნები ქალაქს მოდიან, ზარბაზნებს უშენენ ქალაქს.

თან მეორე დეპეშა მოჰქვა—საბჭოს ჯა-

რეზი ვერ უმაგრდებიან დაგვეხმარეთო კომისარმა გამოგვიცხადა:

— ხედავთ? არმავირისკენ გზა არ არის. თქვენ ტიხორეცკაიასკენ უნდა გაგგზავნოთო.

მაშინ ერთმა მგზავრმა, ახალგაზრდა ქართველმა აფიცერმა უთხრა:

— თუ არმავირისკენ გზა არ არის, მოგვეცით ვინტოვკები და ჩვენ გავიკაფავთ გზასო.

სადგურზე ვიღაც კაცი საშინლათ ლანძღავდა კომისრებს და ყვიროდა:

— მე აქ მთელი დღე მშიერი ვარ და თქვენ კი ღორებივით დამთვრალხართ. არმავირი დახმარებას თხოულობს და ვერვის განკარგულება ვერ მოუხდენია, არავის არ უნდა წასვლა.

ეს იყო არმავირის კომისიაში, რომელიც დახმარებისთვის გამოეგზავნათ. დასახმარებლათ წამსვლელი არავინ იყო, ამიტომ ქართველ აფიცრის წინადადება მიიღეს და კომისარებმა განუცხადეს:

— კარგი, თავი მოუყარეთ რაზმს. რაც შეხება ქალებს, ბავშვებს და ავათმყოფებს, რომლებიც აქ რჩებიან ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ დავიცავთ და არსად არ გავგზავნით.

მივიღებდით ვინტოვკებს თუ არა, ხელათ კადეტებიდან ბოლშევიკები გავხდებოდით.

მგზავრები აღელდენ.

მაგრამ აფიცერი არწმუნებდა მათ:

— არ ვიჩხუბებთ, მხოლოდ ისე წავალთ. ბოლშევიკებთან საქმე არ გვაქვს, ჩვენ ჩვენს მატარებელს ვიცავთ.

და აი, დაიწყო მოხალისეთა ჩაწერა მატარებელში. ჩაეწერა 70 კაცი.

და ამან გვიხსნა ჩვენ.

ტიხორეცკაია ხელახლა მოითხოვდა:

— დაგვიბრუნეთ საექვო მატარებლის მგზავრები და ნივთები.

მაგრამ აქედან უპასუხებდენ:

— მატარებელი ბოლშევიკური აღმოჩნდა. ამხანაგი მგზავრები შეიარაღდენ და აღგენენ რაზმს არმავირის დასახსნელათ.

ტიხორეცკაიამ თავი დაგვანება. ერთ ხიფათს გადავრჩით.

ჩვენი მატარებელი წაგვართვეს და მოგვცეს ორი ძველი ვაგონი. ბრბო თითქოს დაშოშმინდა. აქა-იქ თანაგრძნობის ხმებიც მოისმა:

— კარგია, ძმებო, რომ კავკასიაში მიდიხართ, აქ ბურჟუაზია „ბუნტობს" და წეს-რიგი ვერ არის. იქ თქვენ ყველა მდიდრებს ყელებს გამოსჭრით და წესიერება მაშინ დამყარდება...

საღამოს არმავირიდან დეპეშა მოვიდა:

— არმავირს აღარ ესვრიან. გზა თავისუფალიაო.

ვინტოვკები აღარ მოგვცეს, მაგრამ მაინც გაგვიშვეს.

არმავირში გავიგეთ, რომ არმავირზე არავითარი თავდასხმა არ ყოფილა.

მე არ მინახავს ჩემი თვალით რა სიმხეცეს ჩადიოდენ ბოლშევიკები შინაურ ფრონტზე. არ მინახავს როგორ დახვრიტეს ხალხი, როგორ ახრჩობდენ მდინარეში, არ მინახავს როგორ აჭრიდენ ქალებს ბეჭდიან თითებს, გლეჯდენ ყურსაკიდიან ყურებს, არ მინახავს როგორ სწვავდენ სახლებს და ზარბაზნებით ანადგურებდენ ქალაქებს, მაგრამ ვნახე ამ სამოქალაქო ომის მეორე მხარე, რომელიც შეიძლება უფრო ახასიათებდეს მას, ვიდრე ეს საშინელებანი—ეს მეორე მხარე არის ყველაფერის ერთათ არევ-დარევა, დომხალი, ყველა შემეცნების ერთმანეთში არევა.

შინაური ფრონტი არის არა მარტო ბოლშევიზმის დანაშაულობის, ადამიანის საზიზღრობის საზღვარიც.

ეს უპირველეს ყოვლისა არის ბოლშევიკური სიგიჟის უმწვერვალესი საფეხური, უბედურ რუსეთის სიბნელის და დაბრმავების საზღვარი. („ბ.").

ვლ. ვოლსკი.

## ჯარისკაცთა წერილები

„გაზეთ „ბრძოლაში" იყო მოთავსებული ცნობები ნიგოითის მოხალისე რაზმის შესახებ, რომელმაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მე-5 როტაში მე-2 ქართულ მსროლელ პოლკის ჯარისკაცებს შორის, (ეს როტა შესდგება ნიგოითელი მოხალისეებისაგან). ავტორი იმ წერილისა ა. ურუშაძე სწერდა: „ნიგოითს ესტუმრა წვერთეთრა მოხუცი ა. წითლიძე, რომელმაც დაატყუილა ხალხი ვითომ და ბათუმს თათრების მხრივ რამე საფრთხე მოელოდეს და ბათუმში ჩაიყვანაო".

აი მოკლე შინაარსი წერილისა, ამის მეტს მე მის შესახებ არაფერს ვიტყვი, თვით მკითხველს შეუძლია მიხვდეს, თუ რა წითელი კოჭია ამ სტრიქონების დამწერი.

მგონი ბრმა და ყრუს კი მიხვდება, თუ რა საფრთხე მოელის ამიერ კავკასიის თათრების ბეგებისაგან და ხოჯებისაგან, მხოლოდ ჩვენს ა. უ. არ სურს გაიგოს ეს, ან და იცის ყველაფერი და მაინც ეწევა ამ საზიზღარ პროვოკაციას. ა. უ. ბევრჯელ შეეცადა წითლიძის წინაალმდეგ აემხედრებინა საზოგადოება, მაგრამ ნიგოითმა იცნო უ. სულის ვითომ ბა და მოითხოვა მისი ნიგოითიდან გაძევება, რომ ამისთვის ხელი არ შეეშალა ზოგიერთ პარტიულ ამხანაგებს. 19 თებერვალს ნიგოითში გაიმართა მიტინგი წითლიძის მეთაურობით, რომელმაც ნათლათ დაუხატა დამსწრეთ ბათუმის მდგომარეობა. მოისმინა რა კრებამ მოხსენება, მოხალისეთ ჩაეწერა ასამდის კაცი და იმავე დღეს გაემართენ ბათუმისაკენ. ჩვენმა ბოლშევიკმა ურუშაძემაც შეიცვალა თავის ტაქტიკა და ჩაეწერა მოხალისეთა რაზმში; ეგონა, როდესაც ყაზარმაში დავიმარტოვებ, მაშინ მაინც ჩემიც გავიტანო, მაგრამ არამც თუ რამეს გაკეთება შესძლო, თვით იმ პირებმაც, რომელიც მის მხარეზედ იყვენ, ისინიც მიხვდენ თუ ვინ არის ურუშაძე და ზურგი შეაქციეს მას. ახლა, როგორც გავიგეთ, დადის და ავრცელებს ხმებს, ვითომ განგებ მოატყუებიათ ხალხი, წაიყვანეს მოხალისეებათ ბათუმში, ამით უნდათ ხალხი მუშაობას მოაცდინონ და მომავალ წლისათვის შიმშილით ამოხოცონო; როგორც გავიგეთ, ასეთ „საქმეში" მას ეხმარებიან ზოგიერთი პირები. მათ უნდათ შეიტანონ ჩვენს როტაში უთანხმოება. დრო არის გონს მოხვიდეთ და თავი დაანებოთ ამ პროვოკატორობას, გულადო ვაჟბატონებო! თორემ შეგნებული საზოგადოება დაგდებს ისეთ მსჯავრს, როგორიც ეკუთვნის მოღალატეს.

მოხალისე ჯარისკაცი

ბენიამე გოგიჩაიშვილი.

## მილიციონერთა შორის

16 მარტს შესდგა მეთერთმეტე კომისარიატის მილიციონერთა საერთო კრება. თავმჯდომარეთ ერთხმათ იქნა არჩეული ამავე კომისარიატის უმფროსი მილიციონერი ერმალო გერსამია, მდივნათ ა. კეკელიძე.

დღიურ წეს-რიგში იყო შემდეგი კითხვები: შესახებ „პოსტებისა", ბიბლიოთეკისა, ჯამაგირებზე, იარაღის საწყობი. მოხსენება ამხ. კალანდაძის ამხ. ი. გერსამიას დასაფლავების შესახებ და საამხანაგო სასამართლოში არჩევა. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ი. გერსამიას ხსოვნას. „პოსტების" შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბურიოტმა; ის მწუხარებას გამოთქვამს, რომ მიუხედავათ ყოველგვარი ზომებისა ზოგიერთი ამხ. მილიციონერები „პოსტებზე" თავიანთ მოვალეობას წესიერათ და პატიოსნათ არ ასრულებენ. მიღებული იქნა ამხ. ე. გერსამიას წინადადება, რომლითაც ზიზღი უნდა გამოეცხადოს, სამსახურიდან დათხოვნილი იქნას და პასუხისგებაში იქნას მიცემული ის მილიციონერი, რომელიც პირნათლათ და ღირსეულათ არ ასრულებს თავის მოვალეობას.

„ცეიხგაუზის" შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ე. გერსამია; ის აცხადებს რომ ცეიხგაუზისა და ღვინის საწყობის გამგეთ არის დანიშნული ამხ. გ. პტაძე, მარა ის ვერ ასრულებს თავის მოვალეობასო, რადგანაც მას შემდეგ, რაც მან ჩაიბარა ცეიხგაუზი და ღვინის საწყობი გაიძარცვაო, ამიტომ საჭიროა ჩვენ შორის ავირჩიოთ ისეთი ამხანაგი, რომელიც სრული ჩვენი ნდობით იქნება აღჭურვილი, რომელიც შესძლებს ამ საქმის გაძღოლასო და რომელიც იქნება ჩვენ წინაშე პასუხის მგებელიო. კრებამ ერთხმად დაადასტურა, მიიღო წინადადება და ერთხმად აირჩია ამავე კომისარიატის მილიციონერი კოტე ნათაძე.

სხვა კითხვები სიგვიანის გამო გადიდო, მხოლოდ მოხდა საამხანაგო სასამართლოს ხელახალი არჩევა, სადაც არჩეულ იქნენ: ე. გერსამია, მ. კალანდაძე, თ. დემეტრაშვილი, პ. ბურიოტი და კერესელიძე. კანდიდატებათ: რამიშვილი, კეკელიძე და ლუცენკო. 17 მარტს სასამართლომ აირჩია: თავმჯდომარეთ ამხ. ე. გერსამია, მდივნათ ბურიოტი.

## მუშათა შორის

**ტფილისი** 18 მარტს მოხდა საზოგადოება „კახეთის" მუშა მოსამსახურეთა შეერთებული კრება. ამ საზოგადოებაში დაახლოვებით 60-მდე ქალი და კაცი მუშაობს. კრებამ სხვადასხვა შინაურ კითხვებთა შორის განიხილა დღევანდელ კრიტიკულ მომენტისაგან წარმოშობილი კითხვები. ის შეეხო ბოლშევიკების მოქმედებას. დაადგინა: „არც ერთი კაცის თანაგრძნობა ამ საზოგადოებას მუშამოსამსახურეთაგან მათ, პირიქით, ზიზღი და გმობა თავიანთ ანარქისტულ უპასუხისმგებლო მოქმედებით დაღუპულ ქვეყნის და თავისუფლების დიდი საფრთხის წინაშე დაყენების გამო. კრება დიდ ნდობას და პატივისცემას უცხადებს სეიმს და აღუთქვამს მას კანონის მთარის დაჭერას და მის ცხოვრებაში გატარებას. კრებამ სხვათა შორის გამოიტანა დადგენილება მიეცეს ამავე საზოგადოების გამგეობას წინადადება თანახმათ კომისარიატის დეკრეტისა, ომში წასულ მოხალისეთ და წითელ გვარდიელთ ენახებოდეთ ადგილი ჯამაგირის შენახვით". დაბოლოს მოხდა კომისიის არჩევნები, რომელსაც ევალება არც ერთი მუშა-მოსამსახურე არ დასტოვოს პროფესიონალურ კავშირში ჩაუწერელი, აგრეთვე დაევალა დარაჯათ უდგეს რევოლიუციით ყველა მოპოვებულ უფლებებს და ეცადოს მის ცხოვრებაში გატარებას. ამ კომისიასვე ევალება თვალყური ადევნოს მობილიზაციის ცხოვრებაში გატარებას, რომ არც ერთი მუშა მოსამსახურე არ დარჩეს დეზერტირებათ ამ საზოგადოებაში.

არსენ თოდრია.

**ტფილისის ტრამვაის** მოსამსახურეთა პროფესიონალურ საბჭოს გამგეობამ, ქალაქის თვითმართველობას წარუდგინა მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ: ყველა თვიურ მოსამსახურეს არსებულ ჯამაგირზე უნდა მოემატოს თვეში 175 მ. ბიჭებს და მორბედებს 87 მ. 50 კ. დღიურ მომუშავეებს დღეში 5 მ. 83 კ. უნდა მოემატოთ, შეგირდებს კი 2 მ. 92 კ. ჯამაგირები უნდა მოემატოთ 12 მარტიდან. ქალაქის თვითმართველობამ შეუძლებლათ სცნო დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნილებები და სთხოვა შრომის კომისიას განიხილოს მუშათა მოთხოვნილებანი და თავის დასკვნა ამის შესახებ ამცნოს ქალაქის თვითმართველობას.

**ხარიტიანის ფეხსაცმელების სახელოსნო** (მიხეილის ქუჩა 14) დაიკეტა. მუშები სთხოვდენ „ხაზეინს" თითო მუშისათვის ას-ასი თუმანი მიეცა. ხარიტიანმა არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნილებები და მისცა წინადადება მუშებს თვითონ ეწარმოებინა სახელოსნო და პატრონის სასარგებლოთ განსაზღვრული პროცენტები გადაეხადათ. მუშები არ დასთანხმდენ ამას და ეს კონფლიქტი განხილული იქნა შრომის კომისიაში. კომისიამ დაადგინა ხარიტიანმა გადაიხადოს თითო მუშის სასარგებლოთ 700 მანეთი. ორივე მხარე დასთანხმდა ამ წინადადებას.

**სტამბის პატრონები** 25 ივლისის 1917 წ. კანონის ძალით ვალდებული არიან შეიტანონ „საავადმყოფო კასაში" განსაზღვრული ფული სახელდობრ, 4 პროცენტი მუშის ხელფასიდან დაკავებული. ამ დადგენილებას ზოგიერთი სტამბის პატრონები არ ასრულებენ. სახელდობრ: კილაძე, „აშხატაგორ", „კულტურა", შახაბაზიანი და სხვები. გუბერნიის შრომის კომისარი მიმართავს სტამბის მეპატრონეთ დაუყონებლივ გადაიხადონ ფული იმ მუშებისა, ვინც მუშაობდა მათ სტამბაში 15 ოქტომბრიდან პირველ მარტამდე. შემდეგში კი, ყოველ თვიურათ უნდა შეიტანონ საავათმყოფო კასაში განსაზღვრული ფული. სტამბის პატრონთა არ უნდა დაარღვიონ 68 მუხლი 25 ივლისი კანონისა, რომელიც უზრუნველ ყოფს მუშას ავათმყოფობის დროს ვინც არ შეასრულებს ამ სავალდებულო კანონს, მათ წინაალმდეგ იძულებითი ზომებს მიიღებენ.

## პროვინცია

**ლეხაინდრაო-ონოღიის საზოგადოება** (სამეგრელო). თუ გურია და იმერეთი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და მხათაა უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლოს ოსმალთა წინაალმდეგ, სამეგრელოს ჯერ კიდევ სძინავს და მას ვერ გაუთვალისწინებია ის გარემოება, თუ რა შედეგი ექნება თათართა შემოსევას საქართველოში. ფრონტიდან დაბრუნებული ზოგიერთი ყოფილი ჯარისკაცები ხალხში აგიტაციას ეწევიან არ წავიდენ ფრონტზე.

1 მარტს ბანძის რაიონიდან ბათუმში გაემგზავრა მოხალისე ინტელიგენტთა რაზმი. ახალ სენაკში მათ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ქ-ნ კუხალაიშვილმა, უსურვა მათ გამარჯვება და გადასცა დროშა ზედ წარწერით: „გაუმარჯოს სამშობლოს და რევოლიუციას". გვეგონა ამას სხვებიც მიჰყვებოდა, მაგრამ, საუბედუროთ, ჯერ ამის მაგალითს ვერ ვხედავთ. საჭიროა მკაცრი ზომების მიღება ყველა მათ წინაალმდეგ, ვინც დღეს თავდაცვას უარჰყოფს. სამშობლოს გამყიდველთ და რევოლიუციის მტრებთ არსებულმა მთავრობამ უნდა დაანახოს, რომ მას შესწევს ძალა მათ წინაალმდეგ და თუ ის დღემდე რეპრესიებს გაურბოდა, დღეს ყოვილივე ღონე უნდა იღონოს, რომ ეს ვაჟბატონები დაუყოვნებლივ აილაგმონ, სანამ გვიანი არაა.

წამებული.

**ნიგოითი** (გურია). 11 მარტს რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავათ, (27 თებერვლის მაგივრათ) მოწვეული იყო ამ საზოგადოების მრავალ-რიცხოვანი მიტინგი; სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიტინგმა განსაკუთრებული ელფერი მიიღო. მიუხედავათ იმისა, რომ წვიმიანი დღე იყო, დილის 1 საათზე ადგილობრივი სკოლის ეზო ხალხით იყო გაჭედილი და სოფლებიდან მოდიოდენ რევოლიუციონური დროშებით და სიმღერებით, 2 საათზე კრებას ხსნის ადგილობრივ სოფლების მუშათა საბჭოების წარმომადგენელი ამხ. ერმილე კაჭახიძე; თავმჯდომარეთ ირჩევენ ამხ. ალექსი ასკურავას, მდივნათ ამხ. ერმილე კაჭახიძეს, თავმჯდომარე მოკლეთ, მაგრამ შინაარსიანი სიტყვით ესალმება კრებას და ულოცავს რევოლიუციის დღესასწაულს, ამცნობს კრებას დღიურ წესრიგს, რომლის შემდეგ ტრიბუნაზე ადის ლანჩხუთის რაიონის მუშათა საბჭოების წარმომადგენელი ამხ. კალე ძღენტი, ის განსაკუთრებით ეხება დღევანდელ კრიტიკულ მომენტს, აკრიტიკებს ბოლშევიკების უტაქტიკო გამოსვლას და თვალსაჩინო ფაქტებით ამტკიცებს მათ დიდ შეცთომებს. ის უთითებს დამსწრეთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის და სეიმის სწორი გზით სიარულზე და ურჩევს მის გარშემო დარაზმვას და შემოკრებას, რომ ამ ერთი სულოვანი შეკავშირებით ვიხსნათ ნორჩი თავისუფლება ნახევრათ ველურ ოსმალეთისაგანო! ხალხი ტაშის ცემით აჯილდოვებს მას.

შემდეგ ლაპარაკობს ბოლშევიკი შალვა ასკურავა, ის ცდილობს თავიდან მოიშოროს თითქოს უსაბუთოთ წამოყენებული ბრალდებები, მაგრამ რადგანაც ძნელია თავის მართლება იმ დროს, როდესაც აშკარა სინამდვილე უსიტყვოთ არღვევს მათ ფაქტებს, ისიც ვეღარ ახერხებს თავის მართლებას, ხალხიც ხმაურობს, ღელავს და არ უნდათ, რომ ილაპარაკოს ბოლშევიკმა, მაგრამ თავმჯდომარის მოწოდებით ხალხი წყნარდება და შეკითხვებს აძლევენ: რას იტყვით ამიერ კავკასიის შესახებო, ის კიდევ რუსეთზე იწყებს ლაპარაკს და რადგანაც ხალხი არ წყნარდება, ის ჩვეულებრივი კილოთი ათავებს სიტყვას. აღსანიშნავია, რომ მისი მიმდევრები ბოლშევიკებიც დუმილით შეხვდენ მის ლაპარაკს. შემდეგ ლაპარაკობს სოც. რევოლიუციონერი გიორგი ანჩაბაია, მას სრულებით არ აქვს სურვილი ილაპარაკოს პარტიებზე, ის მოუწოდებს კრებას ორგანიზაციულათ შეკავშირებისაკენ. უსურვებს ყველა პოლიტიკურ პარტიებს შეერთებას და საერთო ძალით თავისუფლების შენარჩუნებას. მისი სიტყვა ასე თავდება: გაეშურეთ ფრონტისაკენ, დაიცავით სამშობლო, ვინც სახლში რჩებით, ისწავლეთ თოფის ხმარება, რომ გაჭირვების დროს მხათ ვიყოთ. მისი დროს შესაფერი სიტყვა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და ტაშის ცემით აჯილდოვებენ. უკანასკნელათ ადგილობრივ რ. ს.-დ. მ. პ. კოლექტივის სახელით ლაპარაკობს ამხ. ნ. იმნაიშვილი. მისი გრძნობით სავსე სიტყვები განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე. მისი ლაპარაკიდან ლოღიკური დასკვნა გამოდის იმის, რომ ბოლშევიკებმა დაღუპვის კარამდე მიიყვანეს რუსეთის რევოლიუცია. ის უთითებს ცოცხალ ფაქტებზე, მოჰყავს რუსეთის მაგალითები და ახასიათებს იმ შედეგებს, რომელიც მოჰყვა მათ გამოსვლას. შემდეგ ლაპარაკობს ამიერ-კავკასიის სეიმის შესახებ, არკვევს, თუ რა როლი ითამაშა სეიმმა ასეთი ანარქიის დროს, ლაპარაკობს აგრეთვე კავკასიის ფრონტების, მობილიზაციის საჭიროების შესახებ და სხვა. შემდეგ უდგენს კრებას შემუშავებულ რეზოლიუციას, რომელსაც ხალხი ერთხმათ ღებულობს. ორატორს ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებენ „ნიგოითის საზოგადოების მრავალ-რიცხოვანი კრება სრულ ნდობას ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის სეიმს, იარაღით ხელში შევებრძოლებით ყოველივე ისეთ გამოსვლებს, რომელნიც მიმართული იქნება ჩვენ მიერ ნდობით აღჭურვილ მთავრობის წინაალმდეგ. ვუსურვებთ მათ ნაყოფიერ მუშაობას და ჩვენ მხათ ვართ, როგორც ყოველთვის, ისე დღესაც, მასთან ვიყოთ და დავიცვათ სისხლით მოპოვებული თავისუფლება".

თოფჯა.

**მეჯვრისხევის რაიონი** (გორის მაზ.). 11 მარტს შესდგა კარალეთის საზოგადოების კრება. კრებას სეიმის წევრმა ამხ. დ. ონიაშვილმა აუხსნა თანამედროვე მომენტი და სეიმის მიერ გამომუშავებული აგრარული რეფორმა: მოხსენებით მრავალ-რიცხოვანი კრება კმაყოფილი დარჩა. შემდეგ რევოლიუციონური მთავრობის სახელით ილაპარაკა ამხ. ი. რუხაძემ, რომელმაც კრებას მოუწოდა წესიერებისაკენ აგრარული რეფორმის უმტკივნეულოდ ცხოვრებაში გასატარებლათ, რისთვისაც ურჩია კრებას ორგანიზაციულად შეკავშირება და გლეხთა საბჭოს ხელმეორედ არჩევა, რაიც შესრულებული იქნა. ორივე ორატორმა კრებას მოუწოდეს კრიტიკული მომენტის გამო თავ-დაცვისაკენ, კრებამ აღუთქვა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლა თავდაცვისთვის და ამიერ-კავკასიის სეიმისათვის მხარის დასაჭერათ და ბოლოს ამხ. დ. ონიაშვილის შეკითხვაზე—კმაყოფილი არიან თუ არა მიწის საკითხის კანონით, კრებამ ერთხმათ გამოსთქვა სრული კმაყოფილება.

— 9 მარტს, ს. ფლავისმანში შემთხვევით გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც იმსხვერპლა 32 კომლი, ზარალი 35,000 მანეთამდეა.

— 6 მარტს ღამით, ს. ღრომში ვინტოვკით შეიარაღებული ხუთი ავაზაკი თავს დაესხენ ამავე სოფელში მცხოვრებს ტატე ნათელაშვილს, რომელიც დასჭრეს ხანჯლით, წაიღეს 300 მანეთი ფულად და 500 მანეთამდე ღირებული ნივთები.

— 13 მარტს, გორის სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტის რწმუნებულის გ. მინაზაროვის და გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულის ი. რუხაძის თანდასწრებით გაიხსნა ს. ფლავისმანის და ვალიანთ-კარის მცხოვრებთა კრება. კრების მიზანი იყო, ამ ორ სოფელ შორის მიწაზე ამტყდარი დავის მორიგება, რომელიც ამტყდარი არის შემდეგ ნიადაგზე: 16 წლის წინათ გრიგოლ ერისთავს თავის მამულზე ჩამოესახლებია ოსები (ვალიანთ კარელები), რომელნიც ეხლა არიან ოცდა ხუთი კომლი. იგივე მამული ქვრივს, ნინო ერისთავისას მიუყიდნია ასიც კომლიან სოფელ ფლავისმანელებისათვის (ქართველებია) 1914 წელს. მას შემდეგ მათ შორის დაუსრულებელი დავაა. რწმუნებულების რჩევით კრება დაადგა შემდეგ გზას: არჩეულ იქნა სამ-სამი კაცი, რომელთა თავმჯდომარეთაც მოწვეულ იქნება გორის მაზრის საადგილ-მამულო კომიტეტის რწმუნებული. მათი გადაწყვეტილება ორთავე მხარეთათვის სავალდებულო იქნება.

შ. ა. ბერიანიძე.

**ქალ. ბათუმი.** ორ მარტს ქალაქის თვით-მართველობის შენობაში შესდგა დაჭრილ-დასახიჩრებულ ჯარის კაცთა საგუბერნიო კრება. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: გამგეობის მოხსენება, წესდების განხილვა და დამტკიცება, სარევიზიო კომისიის არჩევნები და მიმდინარე კითხვები. კრება გახსნა ამ. წულაძემ. გამგეობის თავმჯდომარე გიგიჭკორმა მოკლეთ გააცნო საზოგადო კრებას თუ რა პირობებში უხდებოდა მას მუშაობა და ამ ბიუროს მოწყობა. გიგიჭკორის ცნობით ბიუროს ეხლა აქვს ნაღდი ფული ორმოცდა ერთი ათასი მანეთი და მასთან სასადილოს მოწყობილობაო. მეორე კითხვის შესახებ თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა წესდების განხილვა და დამტკიცება მიენდოთ ახლად არჩეულ სარევიზიო კომისიას, რაც კრებამ ერთხმად მიიღო. სარევიზიო კომისიის წევრებად იქნენ არჩეული ამხ. დათიკო ნიკოლაიშვილი, სოლომონ ჩხაიძე, და კიმოთე წულაძე. სარევიზიო კომისიის არჩევნების შემდეგ ამხანაგებმა მოითხოვეს, რომ მომხდარიყო გამგეობის არჩევნები, ამაზე პოლკოვნიკ ალენცოვმა განაცხადა, რომ რადგან ჯერ ერთი წელიც არ შესრულებია ძველ გამგეობას, წესდების ძალით მათი გამოცვლა ამ კრებას არ შეუძლიაო. გ. წულაძეს წინადადება შეაქვს, რომ ძველი გამგეობა გადადგეს და იქნეს არჩეული ახალი. წინადადებას კრება ერთხმათ ღებულობს, რის შემდეგ იწყება არჩევნები. დიდ კამათს იწვევს ცხენების განაწილება, რომელიც ყოფილა გამგეობის ხელში და რომელიც უნდა მისცემოდა დაჭრილ ჯარისკაცებს უფასოდ. როგორც გამოირკვა, ყველაზე მეტი უსარგებლია აქ სრულიად ჯანსაღ ხალხს და არა დაჭრილებს. ამის შემდეგ კრება გადადის შემდეგ კითხვებზე, რომელიც წამოაყენა ინსტრუქტორ ჩუბინიშვილმა ქალაქ ქუთაისში და სხვადასხვა ქალაქებში ასეთივე ბიუროს გახსნის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ადგენს, რომ გაიხსნას განყოფილება ჯერ-ჯერობით ქალ. ქუთაისში, ოზურგეთში, სოხუმში, ფოთში და სხვა მოხერხებულ ადგილებშიო. თუ ბათუმში ვინიცობაა საშიში მდგომარეობა დადგა იმ შემთხვევაში ბიურო გადავა ქ. ქუთაისში. გამგეობაში აირჩიეს: გალავინინი, ალენიკოვი, ნარინი, ქინქლაძე და ჩუბინაშვილი. ამათ კანდიდატებათ არიან დ. გობრონიძე და აკ. გიგინეიშვილი.

ყურიათელი.


მარტის 20 გაიხსნა ახალი

**სამკურნალო**

ექიმ. ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

ყოველგვარ ავათმყოფთათვის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ღარიბები უფასოთ კვირაობით, ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., 10—12-მდე.

(24—3)

**ექიმი გ. გ. მუხაძე**

იღებს სიფილისიან ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

**ექიმი პ. გ. პეპხაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ რაზიეზდის ქუჩა, № 10.

ექიმი

**დ. ი. ქორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 8 (დიდუბე). ტელ. 14—37.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

**გ. გ. მუხრაზიანცისა**

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, ღრისენეალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ. —7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი ქალი

**რ. გ. ჩიჩუა-საბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

**ვ. ვ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი

**ზ. დონხინი**

ყოფილ იასხისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ექიმი კ. ი. ვაჩნაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქუჩნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვიტაალის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საზებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.